# დროშა

№ 9 სექტემბერი 1973 წ.

619
1973
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (442) სექტემბერი, 1973 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

© „დროშა“, 1973

## 120 ათასი ტონა მარცვლეული სამშობლოს ბეღელში

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიმდინარე წელს მარცვლეული კულტურების დიდი მოსავალი მოიწიეს, 121 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა.

დამამზადებელმა პუნქტებმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მიიღეს 120 ათასი ტონა მარცვლეული.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ჩვენ 250 მილიონი ვართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



წარმტაცი და ღრმაშინაარსიანია ჩვენი დიადი სამშობლოს, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ყოველი წელი, ყოველი დღე; ყველა ჩვენგანი გამსჭვალულია ხალხთა ერთიანი ოჯახის, გულითადი ძმობის უწმინდესი გრძნობით; ეს გრძნობა ყოველდღიურად იზრდება და ფართოვდება; ჩვენი დიადი დროის თითოეულ დღეს, თითოეულ საათს მოაქვს ცნობები ახალ-ახალი გამარჯვებების, ახალი წარმატებების შესახებ. ამაზე უნებურად ფიქრობ ახლაც, როცა სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გვაცნობა, რომ 9 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხვმა 250 მილიონს მიაღწია! აბა ჩავუფიქრდეთ ამას: მეოთხედი მილიარდი ადამიანი დღეს ამაყად ატარებს სსრ კავშირის მოქალაქის სახელს.

რუსები და ქართველები, უკრაინელები და ყაზახები, სომხები და აზერბაიჯანელები, ჩვენი ინტერნაციონალური სახელმწიფოს ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები ერთად აშენებენ კომუნიზმის დიად შენობას, რომელშიც იცხოვრებენ და იშრომებენ ჩვენი შვილები. დღეს უკვე ნათლად ჩანს ჩვენი ხვალინდელი დღე. სოციალიზმმა მშრომელები გაათავისუფლა ექსპლოატაციისა და ყოველნაირი ჩაგვრისაგან, გადააქცია ისინი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონებად, აამაღლა მშრომელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურის დონე. საბჭოთა ყოფა, საბჭოთა სინამდვილე — მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი რევოლუციური იდეების რეალური ხორცშესხმაა. საბჭოთა ადამიანისათვის უზრუნველყოფილია შრომისა და დასვენების უფლება, უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება... პარტიისა და მთავრობის ზრუნვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების მეოხებით ჩვენს ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელს აღწევს! ეკონომიკისა და კულტურის გეგმაზომიერი განვითარება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა საბჭოთა ადამიანებისათვის უზრუნველყოფს რეალურ შესაძლებლობას ისარგებლონ თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებებით. ხალხის საარსებო დონის განუხრელ ამაღლებაზე თვალსაჩინოდ მოწმობენ ხელფასის ზრდა, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გადიდება, საბინაო მშენებლობის უმაგალითო გაქანება. საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით სულ უფრო მეტ სახსრებს გამოჰყოფს მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობისათვის, განათლებისა და მეცნიერების, მშრომელთა სულიერი და ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ თავის XXIV ყრილობაზე გამოაცხადა: მეცხრე ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

შეხედეთ ჩვენი რესპუბლიკის რუკას. მთლიანად შეიცვალა მზიური საქართველოს ლანდშაფტი. კავკასიონის ჭაღარა მწვერვალებიდან შავი ზღვის ლაჟვარდოვან ნაპირებამდე ჰყვავის ერთ. თვალწარმტაც ბაღნარად ქცეული ჩვენი რესპუბლიკა, მეორედ დაიბადა ძველთაძველი რუსთავი, მკვდრეთით აღდგა ივრის წყლით განაყოფიერებული სამგორის ველი, აშრიალდნენ ციტრუსოვანთა ბაღები და ჩაის პლანტაციები აღორძინებულ კოლხეთის დაბლობზე. რამდენი ახალი ქალაქი შეიქმნა ამ წლებში საქართველოს რუკაზე!

250 მილიონი! სსრ კავშირის მოზრდილი და სავსებით ნორჩი მოქალაქენი, ქალები და მამაკაცები, სხვადასხვა თაობის ადამიანები — ყველა ისინი დიადი ინტერნაციონალური ოჯახის წარმომადგენლები არიან, რომელშიც ასზე მეტი ერი და ეროვნება ცხოვრობს. დღეს მათი შრომით, ენერგიით, ნებითა და ნიჭით იქედება ხვალინდელი დღე, რომელსაც ჰქვია მშვიდობა, კულტურა, კეთილდღეობა.



1974

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# პურის მერე- პირველი

## ვაზს უთქვამს

თურმე ერთხელ ვაზმა გახძახა თავის მეზობლებს — ატამს, ლეღვს, ბროწეულს, მსხალსა და ქლიავს — ეს რა ამბავია, რას დამარტყეთ ალყა აქეთ-იქიდანო. თუ ვენახი ჰქვია, ვენახი იყოს, რა გინდათ აქ, ჩემს მიწაზეო, ზოგი რომ თავში მომექეცით, ზოგი ბოლოში, ზოგიც გვერდებზე. ღობის გასწვრივ ჩამომიმწკრივდით ყარაულებივით, ვითომ რაშია საქმე, სხვა ადგილი აღარ არისო, ამ თვალუწვდენ მინდორში ვერ დატეულხართო?

გაბრაზებულმა ატამმა თურმე ვენახის თავიდან გამოსძახა:

— აგრემც მიწა დაგეყრება მაგ ფესვებზე, შენი დამთხვეული შვილივით ხანდახან ჰკუაზე რათ გადაირევი ხოლმე?! ღმერთო კი მომკალი, რატომ არ გესმის, რომ სწორედ შენი ყარაულები და დამცველები ვართ. ჩვენ რომ არა, როდესამდე გაგკრეფდნენ, შე საცოდაო, ზარალი ზარალს წამოუვებოდა და ღვინობამდე ხილობა გაგათავებდა... ახლა კი, ჩვენ შეგეშველებით ხოლმე, დიდიც და პატარაც ჩვენ რომ დაგვეხევა, ისინი ხომ ყველა შენ უნდა გაგეხტუმრებინა?

ახლა ლეღვმა ამოიღო ხმა, ვენახის ბოლოში რომ იდგა. ყალთაღ ადგილზე. დინჯად არხევდა მარაოსავით ვეებ ფოთლებს და ბუტბუტებდა:

— დამიხედეთ ამ ქალბატონს, ერთი მტკაველი მიწა ენანება ჩვენთვის... ბრაზი მოსდის, რომ ხილად ჩვენა ვჭობივართ... — მერე ლეღვმა ატმისაკენ გაიხედა და უთხრა: გახსოვს, დობილო, რა ბრძანა შენზე კახი-ბატონმა თავის ბრძნულ წიგნში „ხილთა ბაასი“:,

> ატამმან უთხრა: — რა გკადრო,
> საქმე ქების თავისა,
> უკეთესი ვარ ყოველთა,
> ხე ჩემი ტურფად ჰყვავისა,
> შეყრა უხარის ყველასა
> ტურფისა სანახავისა!

სიღნაღი.





ტიბაანის ვენახები.

ფოტო თარხან არჩვაძისა.

ატამი სიხარულით გაიბადრა, და ლეღვისათვის რომ სიკეთე სიკეთით მიეზღო, თავის მხრივ ის სტროფი გაიხსენა თეიმურაზ მეორის წიგნიდან, ლეღვს რომ ეხება:

> ლეღვი ამას მოგახსენებ,
> ტკბილი ვარ და მშვენიერი,
> თუ გაძლების ჩემით კაცი,
> მოეცემის მაშინ ფერი.

ბროწეულს გული დასწყდა. „ხილთა ბაასი“ მასაც წაკითხული ჰქონდა და ეწყინა, როცა ას საქებარი სიტყვები არ გაიხსენეს. მას რომ მიუძღვნა მეფე-პოეტმა. ამიტომ თვითონ წამოიწყო:

> ბროწეულმან თქვა, უბნობთო,
> მართლითა სამართალითა,
> ჩემს უტურფესი ნაყოფი
> არვის უნახავს თვალითა,
> დარბაზს და სუფრას ავავსებ
> იაგუნდითა, ლალითა.

მერე ყველამ თავისი ლექსი გაიხსენა — ქლიავმაც, მსხალმაც, ვაშლმაც. ლექსების სტრიქონები ნიავივით დაშრიალებდნენ ფოთლებში, როცა ის იყო მაღლა წასულ ხეებს მიწიდან რაღაც ბუტბუტი შემოესმათ, დახარეს ტოტები ხეებმა, ჩამოიხედეს და მიწაზე გართხმული საზამთრო დაინახეს. ისიც კახი-ბატონის ლექსს ამბობდა:

> საზამთრო იტყვის: ნუ უბნობთ,
> მე არვის დაგიცილებო,
> თავსა ნუ იქებთ ჩემთანა,
> მე ყველას დაგაწბილებო!
> მე ჯანინოზ ვარ ექიმი,
> სნეულთა მოვალხინებო,
> სიცხითა შეწუხებულსა
> მე გულსა მოუგრილებო!

ხეებს უნდოდათ წიხლები ჩაეზილათ და ისედაც ჭრელი ფერდები სულ აეჭრელებინათ საზამთროსათვის. მაგრამ ამ დროს ვაზის ხმა გაისმა:

— მეზობლებო, გირჩევნიათ ლექსებს თავი დაანებოთ, თორემ რაც ჩემზე დაწერილა, მსოფლიოს ყველაზე დიდი ბიბლიოთეკაც ვერ დაიტევს. მე ისეთ პოეტებს ვუქივარ, თქვენი კახი-ბატონი მათთან სახსენებელიც არ არის. დიდმა რუსთაველმა პურის მერე პირველი მე მახსენა — „ვითა ჰმართებდეს, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსაო“; მე მაქებდნენ ბრმა ჰომეროსი, ყველა თვალხილულზე უკეთ რომ ხედავდა, და დიდი ომარ ხაიამი, ჩემსავით დამათრობელი რუბაი რომ ჰქონდა; მე შემომნატროდნენ თაფლივით ტკბილი საადი და ბრძენი ვერგილიუსი, თავის „გეორგიკაში“ პირველი თავი პურის ყანებს რომ მიუძღვნა, მეორე თავი — მე, მესამე — მწყემსის ნახირს და მეოთხე — ფუტკარს. ახლა რუსთაველის მომდევნო ქართველი პოეტები გაიხსენეთ.. რა ვიცი, რომელი ქვეყნისა და რომელი დროის პოეტს იტყვით, ერთი ლექსი მაინც არ მოეძღვნას ჩემთვის. და განა მარტო პოეტები? როცა „ვისრამიანის“ ავტორმა უტურფესი ვისის აღწერა მოინდომა, რასაც არ შეადარა, რა ეპითეტი არ მოძებნა, რა ყვავილი არ გაიხსენა, მაგრამ არც ერთმა არ დააკმაყოფილა, და ბოლოს დახძინა — „ვენახსა ჰგავდა ვისის პირით“; ეს ისე თქვა, თითქოს ბეჭედი დაჰკრაო. როცა რამინი გურგანიდან მარავს ჩავიდა და ვისი იქ აღარ დაუხვდა, მისი „სიხარულის ვენახი გახმა და წალკოტი უყვავილოდ დარჩაო“. ახლა მატიანე გადაშალეთ: „და იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი“... ამიტომ გირჩევნიათ თავის ქებას მოეშვათ და ეს ადგილი დასცალოთ.

ხეები ჩაჩუმდნენ და აღარ იცოდნენ საით წასულიყვნენ, როცა უცებ ვენახის პატრონი დაინახეს. ის თურმე ჩრდილში იჯდა და ამ პაექრობას უსმენდა. ვეღარ მოითმინა და იმ ჩხუბში ჩაერია:

— ახლავე შერიგდით და თქვენი ქიშპობა და ცილობა აღარ გავიგონო. ეს დალოცვილი მიწა ყველას გეყოფათ, რა გაქვთ გასაყოფი. შენ კი ლერწამტანავ, — მიუბრუნდა ვაზს, — ნუ ხარ შარიანი, რას ერჩი ხეხილს, მართალს გეუბნებიან. ეგენი მხარში გიდგანან, გშველიან, შენ კიდევ, მადლობის მაგივრად, აქედან გაძევებას უპირებ. პურის მერე პირველს მახსენებენო, იძახი. მაგაში მართალი ხარ, მაგრამ არ გაგიგონია— არა პურითა ერთითა ცხონდეს კაციო. ეს შენც გეხება — არა ღვინითა ერთითა...

ვაზმა თურმე თავი ჩაღუნა, ხეებმა კი სიხარულით შრიალი ატეხეს ამით დამთავრდა ეს დიდი პაექრობა.

## მევენახე-აგრონომი მოგვითხრობს

დილის აქეთ ტიბაანის ზვრებში დავდივართ. მართლაც ძნელია თვალი მოსწყვიტო ამ სილამაზეს, მაგრამ ჩვენ აქ იმისათვის როდი ჩამოვედით, რომ სანახაობით დავმტკბარიყავით და ეს თვალგულმიმტაცი პეიზაჟები გვეთვალიერებინა, გვინდა შევიტყოთ როგორ არის ვენახის საქმე, როგორ იბრძვიან სიღნაღელი მევენახეები, რათა პირნათლად შეხვდნენ შემოდგომას, როცა მათ მიერ აღებული ვალდებულებების განაღდების დრო დადგება.

ბედზე ვენახში ვახტანგ გოგინაშვილს გადავეყარეთ. მან, როგორც რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აგრონომმა, ცხადია, კარგად იცის აქაურობის ამბავი. ჩვენც კითხვას კითხვაზე ვაყრით.

— როგორც მოგეხსენებათ, — დინჯად იწყებს ვახტანგი, — ყურძნის წარმოებაში სიღნაღის რაიონს ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. სიღნაღელი მევენახეები მუდამ ახარებდნენ სამშობლოს თავიანთი თავდადებული შრომით. და ახლაც, რაიონის მშრომელები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ იმისათვის, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მთლიანად უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის 1978 წლის გეგმის შესრულება.

— გვითხარით, რა მდგომარეობაა ახლა რაიონის ზვრებში?

— ჩვენს რაიონში ვაზი 2.922 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული. აქედან მსხმოიარეა 1912 ჰექტარი. როგორც იცით, უკანასკნელ ორ წელიწადს, სუსხიანი ზამთრის გამო, დიდად დაზიანდა აღმოსავლეთ საქართველოს ზვრები. ყინვებმა დიდი ზარალი მოგვაყენა ჩვენც — სიღნაღელ მევენახეებს. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ წელს მაისსა და ივლისში ვენახები დაგვისეტყვა. მაისში დაისეტყვა 796 ჰექტარი ვენახი, ივლისში კი — 200 ჰექტარი. აქედან 80 პროცენტამდე დაისეტყვა 188 ჰექტარი. ისე რომ, უბრალო ვარაუდით რომ ვიანგარიშოთ, სეტყვამ წელს სულ ცოტა 2.000 ტონა ყურძენი გაგვინადგურა.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს სიღნაღის რაიონის მევენახეებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 15.660 ტონა ყურძენი. როგორც ხედავთ, ჩვენს წინაშე ძალიან დიდი და რთული ამოცანები დგას.

— პატივცემულო ვახტანგ, რა ღონისძიებები ტარდება რაიონში დაზიანებული ზვრების აღსადგენად?

— აღდგენითი სამუშაოები მრავალგვარია. აი, თუ გინდათ, სიმეჩხერე აიღეთ. მის წინააღმდეგ ბრძოლის შენელება დანაშაულია. დანაშაულია იმიტომ, რომ მეჩხერ ვენახებში არა მარტო მოსავლიაა მცირე, არამედ გაწეული შრომა ფუჭია და პროდუქციაც ძვირია. ჩვენმა მევენახეებმა ამ მხრივ კარგად იშრომეს. სიმეჩხრის აღკვეთისათვის გამორგულია 196 ათასი ძირი და გადაწინდულია 101 ათასი ძირი ვაზი. ეს შრომატევადი სამუშაოები ჩვენ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ჩავატარეთ.

მოყინულ ვაზს თავისებური სხვლა და განსაკუთრებული ფორმირება სჭირდება. წინათ ვაზზე ორ სამამულე რქას ვტოვებდით. ახლა დატვირთვა გავზარდეთ. ყინვისაგან დასუსტებულ ვაზს 3-4 სამამულე რქა დავუტოვეთ. ამ მეთოდით ჩვენ არა მარტო მოყინულ კვირტთა რაოდენობის კომპენსაციას მოვახდენთ, არამედ მომავალი წლის უხვ მოსავალსაც ვითვალისწინებთ. მომდევნო წლებში, წელში ლაღად გამართულ ვაზს, ცხადია, რამდენიმე სამამულე რქიდან მხოლოდ იმ ორ რქას დავუტოვებთ, რომლებიც უფრო ძლიერნი იქნებიან.

შემოდგომაზე რაიონში 215 ჰექტარი ვენახი გავაშენეთ. ამ გაზაფხულზე კიდევ 60 ჰექტარი მივუმატეთ ჩვენს ზვრებს. ამჟამად სანერგეში გამოყვანილი გვაქვს 5 მილიონზე მეტი ნერგი, რომლებსაც შემოდგომაზე გავიტანთ ღია გრუნტში. ახალი ვენახების გაშენება ჩვენს რაიონში კვლავაც სწრაფი ტემპით გაგრძელდება. 1972-75 წლებში გეგმის მიხედვით 1.184 ჰექტარზე უნდა გავაშენოთ ზვრები. ჩვენმა მევენახეებმა კი ვალდებულება აიღეს, აღნიშნულ წლებში სულ ცოტა 1.684 ჰექტარზე გააშენონ ახალი ვენახები.

აქვე მინდა ერთი სიახლის თაობაზეც გითხრათ. ჩვენს გამრჯე მევენახეებს, მატერიალურ წახალისებასთან ერთად, გვინდა კულტურული დასვენებისა და ხალისიანი გართობის საუკეთესო პირობებიც შევუქმნათ. ამ მიზნით, რაიონში სულ მალე დავიწყებთ ე. წ. მევენახის სახლების მშენებლობას. ამ თვალუწვდენელ ზვრებში წამოიმართებიან კოხტად ნაგები თანამედროვე ტიპის შენობები, სადაც მევენახეები დაისვენებენ, გაერთობიან, იქ მათ თბილი კერძიც დაუხვდებათ, რათა ძალა და ენერგია აღიდგინონ.



ტიბაანელი კოლმეურნე შაქრო გურაშვილი.

— რაიონში წარმატებით განვახორციელეთ მწკრივთაშორისების საშემოდგომო-საზამთრო ხვნა, გადაბარვა მწკრივებში, საგაზაფხულო გადახვნა, კულტივაცია, ნიადაგის გამარგვლა ვენახებში, მწვანე ოპერაციები, ბრძოლა მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად განვახორციელოთ დარჩენილ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი და მთლიანად დავიცვათ და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი.

ჩვენი მევენახეები უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ უკანასკნელი წლების სუსხიანი ზამთრის შედეგების დაძლევას; ამიტომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

## კლდეეთისა და ჩუმლაყის მხარდამხარ

ვახტანგს ახლა კლდეეთისა და ჩუმლაყის სასოფლო საბჭოების პატრიოტულ თაოსნობაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

— ეს თაოსნობა, რომელსაც საქართველოს ყველა მევენახემ დაუჭირა მხარი, მართლაც ძალზე დროული და საჭირო რამ იყო. ჩვენ ერთხელ კიდევ დავინახეთ, რომ საქართველოს მევენახეებს არა მარტო თავდადებული შრომა და უხვი მოსავლის მოყვანა შეუძლიათ, არამედ სიძნელის ჟამს ისინი მზად არიან ღირსეულად დაიცვან რესპუბლიკის პრესტიჟი, მზად არიან თავიანთი წვლილი გაიღონ და საზოგადოებრივ მარანში უკლებლივ მიიტანონ თავიანთი შრომის ნაყოფი. ეს დიდად სასიხარულოა არა მარტო სახელმწიფოს მატერიალური დოვლათის დაგროვების თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ ნათლად მეტყველებს ჩვენი ხალხის დიდ პატრიოტიზმზე, მის უსაზღვრო სიყვარულზე სამშობლოსადმი.

ამ ორი სოფლის პატრიოტულმა თაოსნობამ, რომელმაც მთელი რესპუბლიკა მოიცვა, მთლიანად უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოსათვის



ტიბაანის სკოლის დირექტორი ზაურ ბოლღაშვილი.

მოსახლეობისაგან ყურძნის მიყიდვის 1978 წლის გეგმის შესრულება — 300 ათასი ტონა ყურძნის დამზადება.

თქვენ გაინტერესებთ თუ რა გამოხმაურება გამოიწვია ამ თაოსნობამ ჩვენი რაიონის მშრომელებში, არა? ჩემს ნათქვამს სჯობია ყველაფერი თქვენი ყურით მოისმინოთ. წამოდით, გაესაუბრეთ ჩვენს მევენახეებს.

და აი, ჩვენ ტიბაანის კოლმეურნეობის კანტორაში ვართ. პირველ კითხვას კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს ჯემალ ხატიაშვილს ვაძლევთ.

— გვითხარით, ჯემალ, პირადად თქვენ როგორ ეხმაურებით კლდეეთელ და ჩუმლაყელ მევენახეთა თაოსნობას?

— ვიდრე მაგ კითხვაზე პირდაპირ გიპასუხებდეთ, აი რა მინდა გითხრათ: წინამხარში სეტყვას გადავურჩით, მაგრამ ყინვებმა 40-45 პროცენტით დაგვიზიანა ზვრები. მიუხედავად ამისა, ყველაფერი გულმოდგინედ ავწონ-დავწონეთ და მტკიცედ გადავწყვიტეთ, სახელმწიფოს წელს გეგმით

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აგრონომი ვახტანგ გოგინაშვილი.



გათვალისწინებულ 610 ტონა ყურძნის ნაცვლად, სულ ცოტა 1000 ტონა ყურძენი მივყიდოთ.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის საქმეში თავიანთ წვლილს შეიტანენ საკარმიდამო ნაკვეთის მფლობელებიც. და აი, აქ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ: ძლიერი ყინვების შემდეგ, როდესაც გულმოდგინედ დავათვალიერეთ ვენახები, აღმოჩნდა, რომ საკოლმეურნეო ზვრები უფრო ნაკლებად იყო დაზიანებული, ვიდრე საკარმიდამო ვენახები. ერთი შეხედვით ეს საკვირველი იყო. ორი ვენახი, ერთმანეთის გვერდით, ზუსტად ერთი და იგივე პირობებშია გაშენებული და ყინვა ერთს უფრო მეტად აზიანებს, ვიდრე მეორეს. და ეს შემთხვევითი როდია, ეს მოვლენა გარკვეულ კანონზომიერ ხასიათს ატარებს.

ერთი შეხედვით უცნაური ეს ამბავი უბრალოდ შეიძლება აიხსნას. საზოგადოებრივი ზვრები მოწინავე მეცნიერული მეთოდებით მუშავდება. აგროტექნიკა მაღალია, დამუშავების კულტურა სრულყოფილი, სარეველებთან და მავნებლებთან ბრძოლა პროგრესული მეთოდებით ხდება და ა. შ. რიგითი მევენახე კი, რაც უნდა იყოს, მაინც პრიმიტიული წესით ამუშავებს საკარმიდამო ნაკვეთს.

და აი შედეგიც, მოწინავე მეთოდებით დამუშავებული ზვარი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მეტი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა, უფრო კარგად გაუძლო მომაკვდინებელ ყინვებს.

მიუხედავად ამისა, ცალკეული საკარმიდამო ნაკვეთებიდან წელს არც თუ ისე ურიგო მოსავალს მოველით. პირადად მე საკარმიდამო ნაკვეთზე მიღებულ მოსავალს უკლებლივ ჩავაბარებ სახელმწიფოს. ასევე მოიქცევიან სხვებიც.

— თქვენ რას იტყვით, პატივცემულო ზაურ?— ვეკითხებით კანტორაში რაღაც საქმეზე შემოსულ ტიბაანის საშუალო სკოლის დირექტორს ზაურ ბოლღაშვილს.

— მე ჩემს სოფელს რად გამოვეთიშები! მარტო მე კი არა, სკოლაში 41 მასწავლებელი გვყავს. ვიცი ყოველი მათგანის გადაწყვეტილება, და თავისუფლად შემიძლია ვილაპარაკო მათი სახელით.

ჩვენი სკოლის პედაგოგებს — არჩილ ხატიაშვილს, ანზორ ქემაშვილს, ნინო გურაშვილს, მერი ფიროსმანაშვილს, სხვებსა და სხვებს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საკარმიდამო ვენახებიდან მოწეული ყურძენი სახელმწიფოს მიჰყიდონ.

მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს კოლეგებს, ყველა მშრომელს შევეხმიანო: ძმებო, მხარი ავუბათ კლდეეთელ და ჩუმლაყელ მევენახეებს, არაფერი დავიშუროთ იმისათვის, რომ კვლავ წინ იყოს ჩვენი სასახელო რესპუბლიკა, ჩვენი საყვარელი საქართველო. ჰა, რას იტყვი, პაპა?

პაპა შაქრო გურაშვილი ოთხმოც წელს მიტანებული კაცია. სკოლის დირექტორის შეკითხვაზე იგი ერთხანს ფიქრობს და მერე მშვიდად ამბობს:

— მართალს ამბობ, შვილო, თავი არ უნდა შევირცხვინოთ! რაც გასაკეთებელია, რასაც ქვეყნისა და ხალხის ინტერესი მოითხოვს — უნდა გაკეთდეს. ჩვენ ტიბაანელები ვართ შვილო, ტიბაანელები კი, იცოდეთ, სხვებს არაფერში არ ჩამორჩებიან.

ასე ფიქრობს მოხუცი მევენახე შაქრო ჯავახიშვილი, ასე ფიქრობს ვანო ბალიაშვილი, ასე ფიქრობს თურმან ხატიაშვილი, ასე ფიქრობს მთელი სოფელი.

ოთარ დემეტრაშვილი,
გიორგი ხეჩუაშვილი

ხუტა ბერულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

მეგობრებო, შეისვენეთ ცოტა —
მარტოდმარტო გავიარო მთებზე.
მეჩქარება, მიხარია, ვშფოთავ,
პაპაჩემის ნამოსახლარს ვეძებ...

მგოსანს მისთვის მეძახიან მეცა,
რომ ბუნების საიდუმლო მესმის.
მსურს მეჯოგის ტყაპუჭები მეცვას
და ტერფებით სუნთქვა ვიგრძნო ფესვის;

შევისხურო ოჩხომურის პეშვი
და ვიხილო ლებერულეს მთები,
შევიხედო ამ დაბურულ ტყეში
და გავშალო ფრინველივით ფრთები.

მეზობლებმა გაიოცონ იქნებ,
მაგრამ ნურვის ვეგონები ხელი,
მლოცველივით დავემხობი პირქვე,
რომ ამოვხსნა ის ურიცხვი წელი,

რაც მაშორებს პაპაჩემის აკვანს
და სიცოცხლის შთაგონებით მბუგავს,
რაც წარსულის ღრუბელივით მაკრავს
და მინამავს თვალთა ჩემთა გუგებს.

უკან ვიხევ, ნელა, ნელა, ნელა,
ათი წელი, ოცი წელი, ასი...
მეჩქარება, მიხარია, ვღელავ, —
დღეთა ძველთა მოვაშორო ხავსი.

უკან ვიხევ, ნელა, ნელა... ჩუმად.
იდუმალი ხმა მიწისა მესმის,
და იქიდან, როგორც განძი, უმალ
მე ამომაქვს მონადირის ლექსი.

შვილს გაანდო ლებერულეს მიწამ,
რასაც სხვა კაცს არ ეტყოდა, ალბათ,
მე გამანდო, ამ ცის ფერებს ვფიცავ,
რომ გადმოგცეთ ჩვეულებრივ ამბად.

ძასპინძლებო, უცხო ვინმე არ ვარ,
იყუჩეთ და მომიცადეთ ცოტა,
რომ გადმოგცეთ შორეული დავა
მიწის კაცთა, ვარსკვლავთა და დროთა!

II

კოჩა ერქვა, კაცი იყო მართლა,
იმ დალოცვილს არც სდომია მეტი,
არ დამდგარა დადიანის კართან
და არც მისი უნატრია ბედი.

მთები იყო სანავარდო მისი,
მთებში ედგა გარანდული ოდა,
არ აკრთობდა გზას გაკრული ნისლი
და სახელიც მონადირის ჰქონდა.

თოფი ჰქონდა თეთრად მოოჭვილი,
თვალი ჰქონდა ალმასივით მჭრელი,
გული ჰქონდა მაგარი და თბილი
და ჭრილობაც მეტისმეტად მწველი.

არ უნდოდა არცა ვისი ყმობა,
ბატონობაც არავისი სურდა.



# ასი წლის შემდეგ

პოემა

არ შეეძლო, თორემ, ვფიცავ ძმობას,
მთელ ქვეყანას მიიკრავდა გულთან.

არა სურდა კაციშვილის წყენა,
არ შეეძლო თავს დასხმოდა ვისმე
(ეჰ, რა იცის მართალმა და ბრძენმა,
რომ ამ წუთში მის გულისთქმას ვისმენ!).

ტანმაღალი არ ყოფილა კოჩა,
ვერც ტანმორჩილს შეჰკადრებდა ვინმე.
არ უთმობდა ბედ-იღბალს და დრო-ჟამს.
ვით აქაურ ქარიშხლებს და ყინვებს.

სიკეთით და სიყვარულით სავსე
დადიოდა თოფითა და კომბლით.
გადაჰყავდა ჯოგი მთიდან მთაზე,
ვით სიმდიდრე და იმედი სოფლის.

ხმა ჰქონდა და შეძახილი მძაფრი
მთებში რეკდა, ვით მარტვილის ზარი,
მთქმელიც იყო ლეგენდის თუ ზღაპრის
და უყვარდა საჩონგურე ლარი.

ღია იყო მისი გულის კარი,
ღია ჰერსაც დაუჰერდა არც ვის!
...ასე ცხოვრობს მთებში, როგორც ქარი,
სილუეტი მონადირე კაცის.

III

— სტუმარი ჰყავს ჯოღორია-ბატონს
და გიბრძანა შენც კალმახზე წასვლა!
ეს უთხრეს და გაეღიმა სათნოდ,
გაეღიმა, გაბრაზების ნაცვლად.

მბრძანებელი წყალს გაჰყვეს და ეშმაკს,
მეზობლობას კი რა უყოს პაპამ!
თიბვას თავი დაანება გლეხმა,
მდინარისკენ გაეშურა სწრაფად.

კალმახები ანათებდნენ წყალში,
ჯილეებში ფათურობდა კოჩა.
კალმახები გლეჯდნენ ბადეს გაშლილს...
შუადღემდე თევზაობას მორჩა.

პირამდე რომ ამოავსო გობი,
მზე პირდაპირ ჩამოეშვა მთებზე...
გადასძახა პირტიტველა ძმობილს
და თავადთან გაატანა თევზი.

მეზობლიდან დაბრუნებულ დათას
წამწამებზე ცრემლი ენთო მწველი:
— პანღური მკრეს, ვერ გავიგე რათა,
და ღილისთვის მოითხოვეს შველი!

ყურს არ უგდებს ხეობების კვნესას
და მიჰყვება ციცაბოებს მაღლა.

წვრილ ბილიკებს ეჰიდება ისევ
დაფხრეწილი მუხლითა და ხელით.
...შინმოსულმა განთიადის პირზე
უცხო სტუმარს გაუგზავნა შველი.

IV

ერთურთს შეხვდნენ მხედარი და ხარი,
გოროზ თავადს გზა არ მისცა ხარმა.
კაცმა ველარ აუქცია მხარი
და თეთრ შუბლზე ტყვია დაახალა.

ახრიალდა უენო და რქებით
დაეჯახა გრანიტივით კბოდეს,
აწკრიალდნენ რქებიცა და ქვებიც,
კლდეთა კედელს მიელეწნენ ოდეს.

— ჯოღორია, რას ერჩოდი ამ ხარს,
ეს მიხნავდა ქვიან მიწას, გულქვავ,
სად წავიდე, ვის შევტირო ახლა,
ქვეყანაზე რომ ამითლა ვსუნთქავ...

რას ერჩოდი მეზობლების ოჯახს,
რად წამართვი ერთგული და შემწე!
იმ ხარივით დაიბლავლა კოჩამ
და მომაკვდავს ეამბორა რქებზე.

შორს გაისმა იმ ძახილის ექო
და თავადმა ასე ბრძანა მაშინ:
— ხარსაც უნდა ჩააგონო, გლეხო,
რომ არ უნდა გადამიდგეს გზაში!

კოჩამ მხედარს გაუსწორა თვალი,
დაიოკა ანთებული სისხლი:
— რაღა მეთქმის, გვერდით გიდგას ქალი,
თორემ არ ხარ შებრალების ღირსი.

ქალი გახლავს, მადლი ქვეყნის გამჩენს,
რომ არ ძალუძს ვაჟკაცს მის წინ დავა...
საუკუნო მოგონებად დაგრჩეს,
რომ ხვალისდღე გამითენე შავად!

ჯოღორიამ ილრიალა მწარედ
და მათრახიც აზუზუნდა ცივად.
— ეს მათრახი გადამაწან ბარემ,
სულ ერთია, ზურგი მაინც მტკივა!

...შუაგზაზე იდგა სისხლის ტბორი,
მაშვრალ ხართან — სისხლგამშრალი კოჩა.
ღრუბელივით ტრიალებდა ქორი
გურზუს თავზე, უქონგურო კოშკთან.

V

— იმ უმადურს მე სიკეთით დავსჯი
და სტუმართან არ შევარცხვენ სოფელს! —
გაიფიქრა პაპაჩემმა მაშინ,
მყის ჩაბღუჯა ყირიმული თოფი.

ქარაფიდან ქარაფებზე ხტომით
დაიქანცა ფიცხი მონადირე:
ხომ არ გაწყდა მთაში შვლების ტომი.
ხედავს მხოლოდ ჯეირნებს და ირმებს.

შველი, შველი უპოვია ვერსად,
სხვა ტყიური არ სჭირდება ახლა.

დღედაღამე თავდახრილი იჯდა
და ტიროდა სალამური ლერწმის.
მერე თოფი ჩამოიღო დინჯად,
ვით სიმართლე მიწისა და ზეცის.

ეძია და ვერ ჩაიგდო ხელში,
ვინც კაცობას გადათელა ზღვარი,
ვინც ულმობლად გადახაფრა ხევში
და მოუკლა არამარტო ხარი!

ბოლოს მაინც შეეფეთა მარტოს,
მდინარისპირ და წისქვილთან ახლო.
დაიღუპე! — მთების ულვთო ბატონს
მხოლოდ ესღა უკარნახა ალღომ, —

უამალოდ ვაი რა დროს დარჩი.
ეს დუმილიც მაცნე არის ავის!
გადაეშვა მყის წისქვილის ღარში
და ბორბლის ფრთებს შეაფარა თავი.

ბორბალსა და ლოდებს შუა გაწვა,
როგორც ლონჯო, არა ჰქონდა სხვა გზა,
ეს რომ ნახა, გაიცინა კაცმა:
— ახლა უნდა მომერთმია არზა...

დამამცირე, დაგამცირე მეცა,
ბარიბარს ვართ, ამიღია ხელი.
მოწმე იყოს ლებერულეს ზეცა,
აღარ არის კოჩა შენი მკვლელი!

ერთი კვირა მეზობლებში ვიყლი,
ყველა მათგანს რომ შევავლო მზერა,
მათი მსჯავრი, მათი ლოცვა თბილი
თან წავიღო, როგორც ბედისწერა.

ხეებს ვეტყვი უკანასკნელ სათქმელს,
რომ ეს მთები სამუდამოდ დავთმე!
თუ არა გსურს შენი კერაც ჩაქრეს,
ცუდად აღარ გადამიდგე სადმე.

ცუდად აღარ გადამიდგე, თორემ,
ჯოღორია, ვაი შენი ბრალი...
წარბშეკრული ჩააშტერდა მორევს,
როგორც დარდი, ხმლით გაჰკვეთა წყალი.

VI

— უტუს ჯარში მიბრძოლია ერთ დროს,
ამბოხებულ დაჩაგრულთა ჯარში,
ბატონებმა დამირბიეს ერდო,
მაინც ისევ უპატრონო დავრჩი.

მე კოჩა ვარ, კაცი მქვია სოფლად,
შვილიც უნდა გაიზარდოს კაცად,
თუმცა რა სჯობს ამ სოფელში ყოფნას,
ვერ შევრჩები ამ კერიის ნაცარს.

ცაო, ცაო, ლებერულეს ცაო,
შენს მშვენებას მე წავიღებ თანა,
წყაროვ, წყაროვ, წყაროვ საოცარო,
სიკვდილამდე დაგივიწყებ განა?

მთაო, მთაო, ჩემი გურზუს მთაო,
მომიგონე, როცა შენგან წავალ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჩემს ბედთან უბედოსთან ვდაობ,
თორემ გურზუმ რაღა დამიშავა?

ხეო, ხეო, ჩემო ვაშლის ხეო,
ჩემი ხელით აქ დარგულო მარად,
ნუღარ მეტყვი: რატომ შემრისხეო,
ჩემთვის დარდი და ნაღველი კმარა.

ქარო, ქარო, ლებერულებ ქარო,
ჩემი სოფლის თბილი სუნთქვა გქვიან.
მიწავ, მიწავ, ჩემო ეზო-კარო,
გამოგტაცე კლდიანსა და ქვიანს.

ჩემი ხელით გალამაზე, ვფიცავ,
ჩემი ოფლიც გირევია ცხელი,
ლებერულებ ლმობიერო მიწავ,
მოისმინე ჩემი აჯა მწველი,

შეინახე ეს ეზოც და სახლიც,
შეუნახე შვილიშვილთა მოდგმას,
რომ მიმიხვდეს სულის ჩემის ძახილს,
მჭმუნვარებას, ოცნებას და მოთქმას! —

ჩურჩულებდა ფერმიხდილი კოჩა,
სადაც ვიდექ შვილიშვილი მისი,
და მწვერვალზე, როგორც მთების დროშა.
ფარფატებდა ბინდისფერი ნისლი.

VII

ბექობიდან გადიხედეს დაბლა
და გამოჩნდა ხანახები კირცხის.
პირმშოს უთხრა დარდიანმა პაპამ:
— დაიხსომე დღევანდელი რიცხვი;

დაიხსომე, ვით გურზუში, აქაც
მაშვრალი და სათნო ხალხი სახლობს.
მიხარია, რომ ვერასდროს მნახავს
ჯოლორიას ავი თვალი, ბალდო!

დღლის პირას ვაშლის ხეებს დავრგავ.
ახგით მომაქვს რამდენიმე ყლორტი.

აიმ ღელეს დააკვირდი კარგად,
ჩაინიშნე ის პატარა კორდი...

ერთად დაჰკრეს ბარი მამა-შვილმა
და სიცოცხლის ალალანდა ყანა.
წკრიალ-წკრიალ წამოვიდა წვიმა,
მაგრამ გლეხებს შეაკრთობდა განა.

— აქ შობილი რომ გაიტანს ღელოს,
ვით შენ დგახარ ჩემს წინაშე, ვიცი.
შეიყვარე, შვილო საყვარელო,
სეტყვასავით პირდაპირი კირცხი.

არ გამოგდოს ამ საწუთრომ სარმა,
მტერს ებრძოლე, ვით ებრძოდა უტუ! —
გაიღიმა პაპამ, როგორც დარმა,
და მიუგდო ყური ცხენის ფრუტუნს.

მთებს და კლდეებს შეჩვეული ცხენი
ჰიხვინებდა, ბალახს ძოვდა ისევ,
უცნობ მინდორს გახედავდა წყენით
და მთებისკენ იბრუნებდა კისერს.

— ჯერ შევიძლოთ მწყემსის კარვის გაშლა
და ნელინელ აიგება ოდაც! —
პასუხივით შეაგება ვაჟმა
ფიქრს, რომელიც, ალბათ, გულში ჰქონდა.

კირცხელებმა მოაშურეს უმალ,
მოიტანეს ღვინოცა და პურიც.
არ მოაკლეს მთიდან ლტოლვილ სტუმარს
ალერსი და სიყვარული ძმური.

VIII

წლები, წლები, სად გარბიან წლები?
დრო გარბის და ხევში წყალი მიქუხს.
გადამწვანდნენ მახლობელი მთები.
გაზაფხული შემოიჭრა ჯიქურ.

ოდის ირგვლივ ახასხასდა მოლი.
აქ გვირილაც უთვალავი იცის.

ბუხრებიდან ავარდნილი ბოლი
ცად მიილტვის, როგორც სუნთქვა მიწის.

აივანზე დგას ფოთოლა-ქალი,
გზას რომ უმზერს კრძალვითა და რიდით, —
პაპაჩემის სანაქებო რძალი,
სევდიანი, მომღიმარი, - მშვიდი.

იცის: დაჰკრა განშორების ჟამმა,
(ო, ეს ჟამი ჩვეული და ძნელი!).
ჩემი ტკბილი, მომავალი მამაც
გრძნობს, რომ ისევ გზა საშიში ელის.

აივანზე ზის ჭაღარა პაპა...
უცებ თითქოს დაიგრგვინა მეხმა:
„მე არ მითქვამს, უტუმ ბრძანა, ალბათ,
კაცის კაცი რომ არ იყოს ქვეყნად!

რომ არ იყოს ქვეყნად კაცის კაცი.
უნდა გაჰყვე შენც სიმართლის დროშას!
მიეშველე სისხლისაგან დაცლილს
და ჟამიჟამ გაიხსენე კოჩაც“.

კოჩას ხელი გაუწოდა ძემან:
— მეც იმ დროშის მსახური ვარ, მამავ!
მოხუცს სახე გაუნათა მზემაც
და თვალებზე დაეკიდა ნამად.

...წლები, წლები, სად გარბიან წლები?
დრო გარბის და ხევში წყალი მიქუხს.
გადამწვანდნენ მახლობელი მთები,
გაზაფხული შემოიჭრა ჯიქურ.

გაზაფხული შემოიჭრა... ჩუმად!
იდუმალი ხმა მიწისა მესმის
და იქიდან, როგორც განძი, უმალ
მე ამომაქვს მონადირის ლექსი.

1973 წელი, ივნისი.



მიმდინარე წლის თებერვალში, ქ. მოსკოვში ქტიორთა სახლში რუსეთის და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებებმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ვასო გოძიაშვილს გაუმართეს შემოქმედებითი საღამო.

ვასო გოძიაშვილი მაყურებელთა წინაშე წარსდგა სპექტაკლ „დონ-კარლოსით“ (მეფე ფილიპეს როლში) და თავისივე სპექტაკლით „ძველი ვოდევილები“.

მოხსენება ვასო გოძიაშვილის შემოქმედებაზე წაიკითხა მწერალმა გ. ციციშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ: რუსეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ცარიოვი, ცნობილი კრიტიკოსი სოლოდოვნიკოვი, თეატრალური მოღვაწე ალექსეევი და სხვები.

დასასრულს ვასო გოძიაშვილმა წაიკითხა საესტრადო ჟანრის ნაწარმოებები (მუსიკალური თანხლება რესპ. დამსახ. არტისტის ევგენია გოძიაშვილისა).

შემდეგ ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები კინოფილმებიდან: „ქეთო და კოტე“, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, „დიდოსტატის მარჯვენა“ ვასო გოძიაშვილის მონაწილეობით.

**სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ვასო გოძიაშვილი თავის უახლოეს მეგობრებთან.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავთანდილის უბის წიგნაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ნარკვევი



ვენერა ხაჩიძე

დედაქალაქიდან ლაგოდეხისაკენ მიმავალ მგზავრს სანახაობა არ დაელევა. მერედა რა სანახაობა! ივრისპირეთ-ვაზიანის მინდვრები, იალნო-სამგორის მაღლობები, გომბორის კალთები. მელაანიდან, თუ უღრუბლო დღეა, დიდი კავკასიონი ჩანს.

გომბორს რომ გადალახავს, მალე მანქანა წნორისწყალს გადაუვლის შუაგულზე, გადაიფრენს შორაქანს, შეიჭრება ალაზნის ხიდზე. მდინარის მარცხნივ — ლაგოდეხის რაიონია.

ხიდიდან რამდენიმე კილომეტრს გაივლით თუ არა, ერთი ლამაზი სწორი ქუჩებითა და რუებით დაქსელილი სოფელი შეგვხვდებათ. ეს ვარდისუბანია.

წელს ამ სოფელში მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობამ კარგად გამოიჩინა თავი. გაზაფხულზე მეცხოველეობის რესპუბლიკური დათვალიერება მოეწყო. ლაგოდეხის რაიონში ვარდისუბნელი მეცხოველეები პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ.

ჟიურის მიუდგომელმა მსჯელობამ დიდი სიხარული გამოიწვია. თურმე დათვალიერებაში ამ სოფლის კოლმეურნეობის გამარჯვებას ბევრი არ მოელოდა. აქი სხვები მეტად ხმაურობდნენ.

ამ სოფელმა მეც დამაინტერესა. ნაცნობ მასწავლებელს ვუთხარი:

— ავთანდილ, მითხარით რამე თქვენს სოფელზე. მიჩვენეთ ან გამაცანით თქვენებურები. ნარკვევის დაწერას ვაპირებ.

ავთანდილმა ვენერა ხაჩიძე დამისახელა, მოწინავე მწველავია, თანაც ჩემი ნამოწაფარიაო.

მასწავლებელმა შორიდან მიმანიშნა, ვენერა აგერ ის არისო. სწორედ ფერმასთან დავეწიე.

— თქვენ ვენერა ბრძანდებით?

— დიახ, მაგრამ თქვენ საიდან იცით ჩემი სახელი?

— ავთანდილმა მითხრა. მინდა ორიოდე შეკითხვაზე მიპასუხოთ. მეცხოველეობა მაინტერესებს.

ვენერა ჩრდილისაკენ მეპატიჟება, თან საუბარს არ წყვეტს.

— აბა რა გითხრათ, მეცხოველეობის რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები, ალბათ, იცით. ლაგოდეხის რაიონში, შეჯიბრში ჩაუბმელად, ბევრ სხვაზე უკეთესი გამოვდექით! მაშინ როცა თავი ყველაზე ნაკლები გვეგონა... ჩვენს პირობებში ბევრსა და კარგ რძეს ვწველით და ვაბარებთ. არც შინ გვაკლია ეგ ღვთისაგან კურთხეული სასმელი...

— მაშ, მარტის რესპუბლიკური დათვალიერებით მეცხოველეები კმაყოფილი ხართ?

— თუ არ გამთქვამთ, გაგიმხელთ: ჩვენს თავმჯდომარეს ბონდო ლომიძეს მიაჩნია, რომ კმაყოფილების საფუძველი არა გვაქვს.

— ამას რას მეუბნებით!

— აგრეა, ჩემო ბატონო! ჟიურის გადაწყვეტილება არა გვწყენია, მაგრამ არც ფრთები შეგვსხმია მისგან.

— რადაო?

— როცა დათვალიერებისათვის ფერმას ვამზადებდით, თავში ხელი შემოვიკარით. გვეგონა არაფერი გვაქვს გაკეთებული, არც მაჩვენებლები გვივარგაო. სინდისის წინაშე რომ ვთქვათ, ერთ რამეში კი ყველა დავრწმუნდით: თურმე ჩვენი მეცხოველეობა კარგ ფეხზე შეგვიყენებია... მართლაც, საქონლისათვის მთელ ზამთარში შეუნელებელი მოვლა, ქორფა, ნოყიერი საკვები არ მოგვიკლია.

— მიბრძანეთ რამდენი რძის მოწველას ვარაუდობთ წელს ძროხის გაშრობამდე?

— არაფერსაც არ ვვარაუდობ. აწონილ-დაწონილად ვიცი ეგ. ოცდაშვიდი ტონა რძე უნდა მოვწველო. ამ რაოდენობიდან თორმეტი ტონა უკვე ჩავაბარე.

— ხელფასი რამდენი გაქვს?

— საშუალოდ თვეში ას ოთხმოც მანეთზე გამოვდივარ. თქვენ ბატონო, რაო, რევიზორი ხომ არ ბრძანდებით?

— არა, რევიზორი არ გახლავართ. მაგრამ რაკილა ასე მარილიანი საუბარი გეხერხებათ, ერთი ესეც მითხარით...

— აგერა ციალა ტოკლიკიშვილი. ისიც ჩემსავით მუშაობს ფერმაში. მის სამუშაო უბანზე, შრომის მოწყობის ავან-ჩავანში ვერავინ შეედრება. მე კი მაპატიეთ, მეყოფა... — კვლავ ეშმაკურად ეღიმება ვენერას და სიტყვას თავის ამხანაგს უთმობს.

კოხტა, შუბლნათელი, ტანმორჩილი ციალაც ავთანდილის ნამოწაფარია. ეს ქალი ლაგოდეხის რაიონში განთქმული მწველავია. რაიონში, თათბირებზე არ შეიძლება მისი სახელი არ ახსენონ. ამ მწველავ ოსტატს ერთი შეხედვით, მიხრამოხრაზე, ჩაცმაზე ხელად შეატყობთ სიმარჯვეს. მის უბრალო ბაასს სმენას ვერ მოსწყვეტთ.

ციალა ტოკლიკიშვილს ხუთი შვილი ჰყავს. მათ შორის ერთი — საცოლედ შელერებული ჰაბუკია. მეორე — გასათხოვარი ქალიშვილი, სამიც საშუალო სკოლაში დადის. შინ ყველა ირჯება, ყველა შრომობს — დიდიცა და პატარაც.

ფერმაში ციალასაც ცხრამეტი ძროხა აბარია მოსავლელად და საწველად. მას წელს განზრახული აქვს ოცდაცხრა ტონა რძე მოწველოს.

— ვენერა ხაჩიძეს კარგად მოუხსენებია ყველაფერი, — ამბობს ციალა, — ვარდისუბნელებმა რაიონში პირველი ადგილი დავიჭირეთ. ყველაფერი კი საქონლის კვებამ გადაწყვიტა.

— ეგ ყველგან ასეა. თქვენ ის მითხარით, გამგეობა როგორ გეხმარებოდათ?

— თივა, ჩალა, ბზე, ნამჯა, სილოსი, ძირხვენები, ნედლი, ხმელი საკვები, წყალი მეწველ ცხოველებს კი არა, მშრალსა და სახორცედ ჩასაბარებელ ხარებსაც თავსაყრელად უნდა ჰქონდეთ. ჩვენი გამგეობის წესია და ეს წესი აქ თავმჯდომარემ, ბონდო ლომიძემ დანერგა. რომ „ოლონდაც ცხოველმა ჭამა შეიძლოს და საკვები, გრამი არ უნდა დააკლდეს არც ზამთარში, არც ზაფხულშიო". ამას მტკიცედ ვიცავთ ფერმაში ყველა, და ჩანს, არც თუ ამაოდ.

— სხვა მხრივ?

— სხვა მხრივ? ჩვენ რომ ძროხის მოვლა-კვებაზე რუსეთსა და იმის გარეთაც ბონდოს მოყოლილი ამბები გვსმენია, იმისგან ჯერ ძალიან შორს ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შესაძლებლობაზე რას იტყვით? მოხერხდება თუ არა მეცხოველეობა-მერძევეობა ვარდისუბანში კიდევ უკეთეს ფეხზე შედგეს?

— დიახ, არის შესაძლებელი, მაგრამ რაღაც გვაკლია. უთუოდ ახლანდელზე უკეთ საქმის ცოდნა და გარჯის წესრიგის გაუმჯობესება.

— ნელა-ნელა თქვენს გამგეობასაც გადაჰკარით.

— რა მოხდა მერე? რაიონში პირველ ადგილზე რომ გავედით, აქ ჩვენ გაბედულ ლაპარაკსაც მიუძღვის წილი. თვითონ ბონდომაც ეგ გვითხრა: აბა, ამას იქითაც, ქალებო, თქვენი იმედით ვართ. ვიაროთ წინ. იქნება იქამდე მივაღწიოთ, როგორი ფერმაც კინოში გვინახავს, სპილოებივით რომ დააბოტებენ ძროხები მწვანეზე, ჩვენც ისეთი ცხოველები გვყავდესო.

— ალაზნის მხრით გალალეთ საქონელი! — ისმის ამ დროს მამაკაცის ხმა ფერმის ეზოდან. ეს ბონდო ლომიძეა. ის დილით საქონლის საძოვრად გარეკვას დასწრებია, საღამოთი დაბრუნებულსაც შეხვდება. ვერა, ვერ დაუწუნებთ ამ ჩვეულებას.

ბონდოს მამა, ალექსანდრე ლომიძე, ვარდისუბანში ბევრი სატკივრის წამალი ყოფილა. ეს მან, ალექსანდრემ ტრაქტორით ოცდაათიან წლებში პირველად მოხნა ვარლისუბნის გარშემო გაკაჭული, ნამუხნარალი მიწები. ერთი ბეწო გრდემლითა და კვერით, გუდების საბერველით, მთელ სოფელს ის უპირავდა თოხებს, ბარებს, ცულებსა და წალდებს.

შვილმა პატარა ბიჭობაშივე შეითვისა ყველა ის ხელობა, რაც მამამ იცოდა. პირველად ეს ცოდნა ბონდოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე გამოადგა. პროფესორი კონსტანტინე ამირეჯიბი ყოველთვის ცდილობდა წიგნიერი და ჭკვიანი სტუდენტი მუდამ ახლოს ჰყოლოდა. ვარდისუბანში რომ დაბრუნდა, ბონდომ უმალვე მინდორს მიაშურა. მისი ახალგაზრდა ცოლი ციცინო ხარაიშვილი კი ავთანდილმა მიიწვია საშუალო სკოლაში ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებლად.

გავიდა მცირე დრო, ბონდო თავმჯდომარედ აირჩიეს. მას მერე კოლმეურნეობაში დოვლათი და ბარაქა დატრიალდა. წიგნიერი თავმჯდომარე თავის კუთხესა და სოფელში ბუნების საიდუმლოებას დაბადებიდან იცნობდა. ვარდისუბნის მიწებში ერთი ფეხის დადგმა ადგილიც არ ჰქონდა შემოუვლელი.

ალაზნის მხრიდან ფერმას ვაკეები და ჭიაურის მუხნარიანი ტყის ნაწილი აკრავს. ამ ადგილებს ხნავენ კოლმეურნეები. მოჰყავთ პური, ქერი, სიმინდი, თამბაქო, პამიდორი, ნესვი და საზამთრო. მინდვრის ერთი ნაწილი საძოვრებად და ბალახების სათეს-სათიბად აქვთ გამოყოფილი. აქა-იქ პატარა და დიდი მდინარეების ნაპირებზე, ჩაღრმავებულებში და ჭალებში ბევრია ჭაობიანი და წყალჭარბი ადგილები. ესენი კამეჩების საძოვრებია, ხშირად სათიბებიც.

როცა ბონდო ლომიძემ ამ სიმდიდრეს პატრონის თვალით გადახედა, პირველად საქონლის საკვების საკმაოდ მოპოვებას, უხვად დაგროვებას და სულადობის გამრავლებას დაეჭიდა. ორივე ეს ფალავანი სწრაფად დაიმორჩილა. თავმჯდომარედ მისი არჩევის წელიწადს საქონელი ჯანდაგად გამოიყურებოდა. აბა, რა მოუვიდოდა პირუტყვს! თებერვალში მეცხოველეები, თუნდაც უხეშ საკვებს, გაბედულად ველარ უყრიდნენ ბაგაზე დაბმულ საქონელს.



მარცხნიდან — ვარდისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბონდო ლომიძე, კოლმეურნე შალვა ხოსიტაშვილი და პარტბიუროს მდივანი გურამ პაპაშვილი.

ფოტო ა. გოგოლაძისა.

ახლა როგორ არის საქმეო, იკითხავთ. მარტაპრილში ამ სტრიქონების ავტორი მოწმე იყო, როგორ მიჰქონდათ ვარდისუბნის კოლმეურნეობიდან მშვენივრად შენახული, ნოყიერი საკვები თელავსა და სხვა რაიონებში ცხოველების გამოსაკვებად, ვიდრე მინდვრად ახალი ბალახი ამწვანდებოდა.

— ვარდისუბნელებს უთუოდ მეზობელ სოფლებზე უკეთესი და მეტი მიწები გაქვთ საკვების მოსაყვანად, — წამომცდა მე.

— აგრე არ არის! — შეიცხადეს ვენერამაც და ციალამაც. — მიწები ჩვენს მეზობლებს ისეთივე აქვთ, როგორიც ჩვენ.

ასე თითქოს მეცხოველეობა აქ კარგად მიდის. მაგრამ, როცა საქონელს და ბინებს დაათვალიერებთ, დიდად ვერ აღფრთოვანდებით.

მაგრამ როგორც კი ამაზე ხმას ამოიღებს კაცი, ვარდისუბნელები იქვე მახლობლად გაგიყვანენ. თქვენი თვალით დაინახავთ მშენებარე კორპუსებს. ეს არის მეწველი საქონლის ახალი ბინები, რომლებიც, სადაც არის დამთავრდება.

ბონდო განმარტავს:

— ისე, ბევრი რამ გვიჭირს. ერთი სულის დასაბმელ ბაგაზე ხშირად სამი სული გვიბია. ბევრი სხვა ნაკლიც გვაქვს. მაგრამ ეს ახალი ბინები დიდ შეღავათს მოგვცემს. წველის, კვების, რძის გაზიდვის მექანიზება, თქმა არ უნდა, გაცილებით უკეთ მოეწყობა. — და ბონდო ეხმიანება კალატოზებს: — მასალა ხომ არაფერი გაკლიათ?

მშენებელი ოსტატებიც აქაურები, ვარდისუბნელები არიან.

ბონდო ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა და განაგრძო:

— არა, ძმაო, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და... ვისაც კახეთში, განსაკუთრებით ლაგოდეხის რაიონში, საკვები დააკლდება, ის უხეირო მეურნეა.

— სწორია! — უდასტურებს ბონდოს ავთანდილი და ამას დასძენს: — აქ მხოლოდ უგერგილოს დააკლდება საქონლის საზრდო.

სხვათა შორის, ამ წერილში ავთანდილ მასწავლებელს ბევრჯერ შეხვდა ხსენება. დიახ, მისი აღზრდილია ვარდისუბნელ ახალგაზრდების რამდენიმე თაობა. თვითონაც ვარდისუბანში აახილა თვალი ნახევარი საუკუნის წინათ. იქვე დაამთავრა სკოლა. უმაღლესი განათლება თბილისმა მისცა. ახლა ავთანდილი იმავე სკოლის დირექტორია, სადაც თვითონ სწავლობდა. დაწყებით კლასებში ასწავლის მისი მეუღლე ზინო ცინაძეც.

საშუალო სკოლა კოლმეურნეობის კანტორის მოპირდაპირე მხარეზე დგას.

ავთანდილის ხელში ხშირად შენიშნავთ უბის წიგნაკს. დირექტორი ამ წიგნაკში სამახსოვროდ იწერს, რა ხდება სოფლად. მასში ბევრ კარგ, შესახარბებელ ცნობას შეხვდებით ადამიანებზე. წიგნაკში ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავთ იმ ქალებისა და ვაჟების გვარსა და სახელებს, ვისაც ვარდისუბნის სკოლაში დაწყებითი და საშუალო განათლება მიუღიათ, მერე უმაღლესი სასწავლებელიც დაუმთავრებიათ, ბოლოს სოფლად, ვარდისუბანში დარჩენილან, ან ქალაქიდან ისევ შინ დაბრუნებულან, მაშინვე ოჯახებს მოკიდებიან, გაუჩაღებიათ მიწაზე შრომა. გულმოდგინედ, ამაყად განაგრძობენ წინაპრების ნაანდერძევ მიწაზე ცხოვრებას.

მანქანებით ხნავენ, თესენ, მკიან, გაჰყავთ სარწყავი და საწრეტი თხრილები, ჭაობები სათიბებად გადააქციეს, გააუმჯობესეს საქონლის ჯიში. ახლა არიან მწველავებად, შოფრებად, მასწავლებლებად, აფთიაქარებად. აგრონომებად არა მარტო ვარდისუბანში, არამედ უფრო შორსაც.

და როცა ჩვენი ერთი რიგითი სოფლის ეს მოღვაწეები თავიანთი სკოლის დირექტორს ხვდებიან შინ და გარეთ, გეგონებათ ყველანი ისევ სასკოლო დარბაზში არიან, ერთნი უსმენენ, მეორეს — ასწავლის. ნურც იმას გაიოცებთ, თუ ისეთი ვინმე ნამოწაფარი აღმოაჩნდება ავთანდილს, რომლისაგანაც თვითონ სწავლობს. ამით ყოფილი მასწავლებელი კიდეც ამაყობს.

# წითელი წიგნი

ჩვენს პლანეტაზე ცხოველთა და მცენარეთა ცალკეული სახეობების განადგურება, მოსპობა, მრავალი სახეობის არეალისა და რიცხობრიობის შემცირება განსაკუთრებულად შესამჩნევი გახდა მიმდინარე საუკუნეში; ამ ამბავმა მთელი ქვეყნის ბიოლოგების დიდი შეშფოთება გამოიწვია. ჯერ კიდევ 25-30 წლის წინ მიღებულ იქნა ზომები შეედგინათ ცნობები ჯერ რეგიონალური და შემდეგ მსოფლიო მასშტაბით იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ ნადირთა და ფრინველთა შესახებ. ამავე დროს, გამოვლინებული უნდა ყოფილიყო ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები, რათა დასახულიყო ფაუნის იმ სახეობათა გადარჩენის გზები, რომელთა გადარჩენა შეიძლებოდა. ამ მნიშვნელოვან თემას არაერთი საყურადღებო მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა.

1948 წელს იუნესკოს ბუნების დაცვის განყოფილებასთან შეიქმნა ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი. რომელშიც გაერთიანდნენ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები. ამ კავშირმა შექმნა მუდმივი საერთაშორისო კომისია, რომელსაც რუსულ ლიტერატურაში მიღებულია ეწოდოს „იშვიათ და მოსპობის გზაზე მდგარ ცხოველთა დაცვის კომისია“; ამ კომისიაში არჩეულ იქნენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, ძირითადად ეკოლოგები, იმ ვარაუდით, რომ მათ შეესწავლათ იმ ცხოველებისა და მცენარეების მდგომარეობა, რომლებიც სრული განადგურების საფრთხის წინაშე იდგნენ და ამით გაეწიათ კონსულტაცია ყველა ორგანიზაციისათვის, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მათ ამ სახეობათა გადარჩენისა და შემონახვისათვის. კომისიას დაევალა აგრეთვე დაემუშავებინა და მოემზადებინა საერთაშორისო და ნაციონალური კონვენციების და ხელშეკრულებების პროექტები იშვიათ და განადგურების გზაზე მდგომი სახეობების დაცვაზე, მათი გადარჩენისა და შემონახვის მიზნით.

1948-1954 წლების მანძილზე ეს კომისია აგროვებდა ინფორმაციებს ყველა იშვიათ და განადგურების საფრთხის წინაშე მდგარ სახეობებზე და ამის შემდეგ შეუდგა „წითელი წიგნის“ შედგენას. ერთდროულად კომისია ადგენდა იმ მცენარეთა და ცხოველთა „შავ სიას“, რომლებიც დედამიწის ზედაპირზე უკვე განადგურდნენ, მოყოლებული 1600 წლიდან. ეს წელი არჩეული იქნა იმიტომ, რომ მხოლოდ მე-17 საუკუნეში შეიქმნა ნამდვილი მეცნიერული ნომენკლატურა და საკმაოდ ზუსტი დოკუმენტაცია, რომლისთვისაც შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა ესა თუ ის მცენარე და ცხოველი; ამ მკაცრად მეცნიერულ საფუძვლებზე შედგენილი სიის მიხედვით დადგინდა, რომ 1600 წლიდან ჩვენს დღეებამდე საბოლოოდ მოისპო (აღარასოდეს აღარ აღდგება) ძუძუმწოვართა კლასის 36 სახეობა და ფრინველის 94 სახეობა.

1966 წლამდე „წითელი წიგნი“ პერიოდულად მდიდრდებოდა ახალი მონაცემებით, ახალი ფურცლებით, რომლებიც მოიცავდნენ მოკლე ცნობებს იშვიათი სახეობების წარსულში და აწმყოში გავრცელებაზე, მათი გამრავლების ინტენსიობაზე, რიცხობრიობაზე. ინდივიდთა რაოდენობაზე ტყვეობის პირობებში და დაცვის ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდებოდა ან ტარდება ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ წიგნის პირველ ვარიანტში შეტანილი იყო ძუძუმწოვარი ცხოველების 211 და ფრინველების 312 სახეობა და ქვესახეობა. წიგნი თანდათანობით იხვეწებოდა, ივსებოდა და 1966 წელს გამოვიდა ახალი რედაქციით. ამჯერად მას სქელტანიანი გადასაფურცლი კალენდარის სახე ჰქონდა, აქ ყოველი ფურცელი შეიძლებოდა შევსებულიყო ან შეცვლილიყო ახალი მასალებით, რომელსაც კომისია, როგორც წესი, ამუშავებდა ყოველ 6 თვეში. 1971 წლის 1 იანვრისათვის ამ წიგნის პირველ ტომში შეტანილია ძუძუმწოვარი ცხოველების 236 სახეობა და 292 ქვესახეობა; მეორე ტომში მოთავსებულია ფრინველის 287 სახეობისა და 341 ქვესახეობის აღწერა. მომდევნო ტომები ეძღვნება იმ მცენარეებსა და ცხოველებს, რომლებიც ზემოაღნიშნულ გამოცემებში არ შესულა. „წითელი წიგნი“ სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის სახით უკვე ითარგმნება რუსულ ენაზე და მას გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობა „პროგრესი“.

1971 წლის ბოლოს დაიბეჭდა „წითელი წიგნის“ მესამე ტომი, რომელიც მიძღვნილია ამფიბიებისა და რეპტილიებისადმი. ამფიბიებიდან იშვიათ და მოსპობის გზაზე მდგარ სახეობებად მიჩნეულია: იაპონიისა და ჩინეთის გიგანტური სალამანდრა, რომელიც ცხოვრობს მიწისქვეშა მდინარეებსა და ტბებში, პროტეი — იუგოსლავიაში, კუდიანი ბაყაყი — ახალ ზელანდიაში, სეიშელის კუნძულების ბაყაყები და სხვ. ქვეწარმავლებიდან „წითელ წიგნში“ შეტანილია ზღვაში და მტკნარ წყლებში მცხოვრები კუს ყველა გიგანტური ფორმები, ყველა სახის ნიანგი, მრავალი სახის მახრჩობელა გველები. მათ შორის შუა აზიაში მცხოვრები ნაცრისფერი ვარანი და სხვა სახეობები. ამას გარდა, „წითელ წიგნში“ შეტანილი იქნა ისეთი „ცოცხალი განათხარიც“, როგორიც არის ახალი ზელანდიის გატტერია. ეს მესამე ტომი კვლავ ივსება ახალი მასალებით; ასე, მაგალითად, მასში შეტანილ იქნა ჩვენი შორეული აღმოსავლეთის რბილკანიანი კუ, კავკასიის სალამანდრა, რომელიც საქართველოში, ბორჯომის ნაკრძალშია დაცული, უფილტვო ტრიტონი, კობრი და სხვ.

ფაუნის იშვიათი სახეობების დაცვისა და გადარჩენის მიზნით შეგროვილი დიდძალი მასალების გულმოდგინე გადათვალიერებისა და კლასიფიკაციის შედეგად დადგენილი იყო შემდეგი 4 კატეგორია: პირველი — განადგურების გზაზე მდგარი სახეობები, რომელთა გადარჩენა შეუძლებელი. დაცვის სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელების გარეშე; მეორე — იშვიათი სახეობები, რომლებიც ჯერჯერობით არ იმყოფებიან განადგურების საფრთხის წინაშე, მაგრამ ისე მცირე რაოდენობით და მცირე ტერიტორიაზე გვხვდებიან, რომ შეიძლება მოკლე ხანში სულ მოისპონ; მესამე — ე. წ. შემცირებადი სახეობები, რომლებიც დღემდე არსებობენ ისეთი რაოდენობით, რომ ეს საკმარისია მათი შენარჩუნებისათვის, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათი რიცხვი სწრაფად მცირდება; მეოთხე — გაურკვეველი სახეობები, რომლებიც იმყოფებიან განადგურების საფრთხის წინაშე, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არასრულყოფილია და მცირე, რის გამოც საშუალება არ გვაქვს შევაფასოთ, თუ რა მდგომარეობაშია მათი პოპულაცია.

შემდგომი მუშაობის უფრო სრულყოფის მიზნით ბუნებისა და მისი რესურსების დაცვის საერთაშორისო კომისიამ შექმნა სპეციალისტების 24 სამუშაო ჯგუფი (თითოეულ ჯგუფში შედის 3-5 მეცნიერი), რომლებიც ახდენენ ობიექტების დაწვრილებით შესწავლას. ასე, მაგალითად, შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სწავლობენ ვეშაპებს, ზღვის კუს, ნიანგებს, ცხვირრქოსნებს, გარეულ ცხენებს, თეთრ დათვებს, ზუბრებს და სხვ. აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფებმა საქმიანი წინადადებები შეიტანეს „წითელი წიგნის“ შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნულ სახეობათა გადარჩენა მოითხოვს ყოველდღიურ მზრუნველობას. ყველა ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარე თუ ცხოველი შეტანილია „წითელ წიგნში“, თავის თავზე იღებს მორალურ პასუხისმგებლობას მთელი კაცობრიობის წინაშე ბუნების ამ საუნჯის გაფრთხილებისა და შემონახვის თაობაზე.

საბჭოთა მეცნიერები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ „წითელ წიგნში“ შეტანილი ყველა სახეობა რაც შეიძლება მალე გადავიდეს მწვანე ფურცელზე. ჩვენი ქვეყნიდან ორი ზოოლოგი (პროფ. ა. ნ. ბანიკოვი და პროფ. გეპტნერი) ხელმძღვანელობს ამ კომისიის ორ სამუშაო ჯგუფს.

1971 წლამდე, საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან „წითელ წიგნში“ შეტანილი იყო 21 სახისა და ქვესახის ნადირი (თეთრი დათვი, კულანი, მურა დათვის ამიერკავკასიური ქვესახეობა, ავაზის ორი ქვესახეობა, წითელი მგლის ორი ქვესახეობა, გორალი, კეთილშობილი ირმის ქვესახეობა, ჯეირანი, 8 სახეობის ფრინველი და სხვ.).

საბჭოთა მეცნიერებამ ბევრი რამ გააკეთა ამ საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად. აქ აღსანიშნავია, რომ ჩვენშიც იქმნება ანალოგიური წიგნი, რომელიც აღნუსხავს ჩვენს ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებს. „სსრ კავშირის „წითელი წიგნი“, საერთაშორისოსთან შედარებით, უფრო ვრცელია მასში გაერთიანებული ცხოველების რაოდენობის მხრივაც და მოყვანილი ცნობების მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. ორივე „წითელი წიგნი“, როგორც საერთაშორისო, ისე ჩვენი, შედგენილია ერთი და იგივე პრინციპის მიხედვით.

„სსრ კავშირის „წითელ წიგნს“ ადგენს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ბუნების დაცვის ცენტრალური ლაბორატორია, რომელსაც, საჭიროების მიხედვით, ეხმარებიან სხვა ორგანიზაციების სპეციალისტებიც. საბჭოთა „წითელი წიგნი“ ინახება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბუნების დაცვის ცენტრალურ ლაბორატორიაში (ლაბორატორიის გამგე პროფ. ლ. შაპოშნიკოვი). მისი ასლები საჭიროებისდა მიხედვით ეგზავნებათ დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

ამჟამად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნების დაცვის რესპუბლიკურ კომისიასთან ერთად, შეუდგა მასალების შეგროვებას რეგიონალური მნიშვნელობის „საქართველოს სსრ „წითელი წიგნის“ შესადგენად. ამ საქმეს აქტიურად გამოეხმაურნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები — ბოტანიკის, ზოოლოგიის და სატყეო ინსტიტუტები; ამ დაწესებულებათა მიერ შემოთავაზებული მასალების უმეტესი ნაწილი შესულია „საბჭოთა კავშირის „წითელ წიგნში“. ასეთებია, მაგალითად, ცნობები და მასალები ფაუნის იშვიათ სახეობებზე — სალამანდრაზე, დურაჯზე, კოლხურ ხოხობზე. აფთარზე, ჯიქზე, ფოცხვერზე, ქურციკზე და სხვ. ვფიქრობთ, რომ „საქართველოს სსრ „წითელი წიგნი“ დიდ სამსახურს გაუწევს, ერთი მხრივ, „საბჭოთა კავშირის „წითელ წიგნს“ მასალების მიწოდებით და, მეორე მხრივ, ადგილობრივი ბუნების რესურსების — ფლორის და ფაუნის დაცვისა და გაფრთხილების საქმის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

„საქართველოს „წითელი წიგნის“ ფურცლებზე სასურველია თავისი ადგილი დაიჭიროს ფუტკრის ჯიშების და სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მცენარეთა და ცხოველთა სხვა ჯიშების დაცვისა და შემონახვისათვის დაწყებულმა საქმიანობამ.

**გალინა ენუქიძე,**
**კირილე მამისაშვილი**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები.

# ძველი რუკა



ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩვენ მივაგენით ძველ რუკას; მასზე გადატანილია მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. რუკის წარწერა გვამცნობს: „შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული მხარეების ახალი ტაბულა. 1672 წელს შედგენილი შარდენის წიგნში მითითებული ადგილების მიხედვით". რუკაზე ავტორი და გამოცემის ადგილი აღნიშნული არ არის.

რუკაზე არ არის გრადუსთა ბადე, ძალზე გაცრეცილია, ბევრი წარწერა არ ჩანს და ამოკითხვა შეუძლებელია.

რუკაზე უსწორო ფორმით მოცემულია შავი ზღვის კონტურები; ასევე არასწორი კონტურები აქვს მარმარილოს ზღვას და ნამდვილ ფართობთან შედარებით ორჯერ ნაკლები ტერიტორია უჭირავს. შედარებით სწორად არის გამოხატული აზოვის (მეოტიდა) ზღვა და ქერჩის სრუტე, რომელიც კაფას სახელწოდებითაა მოხსენებული. რუკაზე ჩანს სხვა მოსაზღვრე ადგილები, ქალაქები და მდინარეები.

ჩვენი მკითხველისათვის პირველ რიგში საინტერესოა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული ნომენკლატურა. რუკაზე აღნიშნულია მდინარეები:

კოდორი (ან კორაქსი, კოაქსი), შარდენის მიხედვით წარმოადგენდა აფხაზეთის სამთავროსა და იმერეთის სამეფოს საზღვარს.

ენგური ან ლანგური ან ასტოლფი („შუაღამე იყო, როცა ასტოლფის მდინარის შესართავთან მივედით. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს უწოდებენ", ჟან შარდენი. „მოგზაურობა საქართველოში". თბ. 1935, გვ. 16).

ფაზისი (ფაზუსი, თურქები უწოდებენ ფაშ-ს) ანუ მდ. რიონი.

მოქუსკარი ე. ი. მოქვისწყალი.

ხობუსი ან კელმელი ე. ი. მდ. ხობისწყალი.

სოკომი, არიანე უწოდებს ტერსცენს, პტოლემე — ტასირისს.

ცხენისწყალი (კიანეა ან ჰიპოსი).

მსხვილი დასახლებული პუნქტებიდან რუკაზე აღნიშნულია:

სიპიასი. შარდენის მიხედვით მდებარეობს ანაკლიასთან, მისგან ოთხ ეჯზე ჩრდილო აღმოსავლეთით („მზის ჩასვლისას მივედი სიპიაში. სიპია ორი პატარა ეკლესიის სახელია", გვ. 18). რუკაზე აღნიშნულია მდინარეებს სოკომსა და ენგურს შორის.

ანარგია ან ჰერაკლეა, ალბათ ანაკლია („წავედი ანარგიაში. ეს ანარგია სოფელია და მცირე ნავსადგური", გვ. 38). შარდენის მიხედვით, ანარგიის ადგილას უწინ ყოფილა დიდი ქალაქი ჰერაკლეა.

გონიე-კასტელი, გონიო („მივედი გონიოში, ფაზისიდან იქამდის 40 ეჯი არის", გვ. 42). ძველი ბერძენი მეცნიერი ჰალკონდილემი ამ დასახლებულ პუნქტს გორეას უწოდებს. აღნიშნულია უსახელო მდინარის (აჭარისწყლის) მარცხენა მხარეზე.

კოტატისი ან კოტატის-კასტელი ე. ი. ქუთაისის ციხე-სიმაგრე („კოტატისი გაშენებულია მთის კალთაზე, მდ. ფაზისის ნაპირას", გვ. 66).

სკანდერი, სკანდა, ციხე („მარჯვნივ დაგვრჩა ციხე სკანდა. იქაურები ამბობენ, რომ ალექსანდრე დიდმა ააშენაო", გვ. 65). ალბათ იგულისხმება შორაპნის ციხე.

აკალტციკე ე. ი. ახალციხე.

სოკომი, ნავმისადგომი მდინარეებს მოქვისწყალსა და სოკომს (ტასირისს) შორის, შესაძლებელია იყოს სოხუმი (ცხუმი).

პორტუს აბხაზარუმ ე. ი. აფხაზეთის პორტი.

აფხაზია ბადერ — ნავსადგური, მისი თანამედროვე სახელწოდება ვერ დავადგინეთ.

ბენდერსალი ან ფორუმა — ნავსადგური, მისი თანამედროვე სახელწოდება ვერ დავადგინეთ.

ისგაონ-პორტი (იზგაური), ნავმისადგომი სამეგრელოში. სწორედ აქ ჩამოსულა პირველად შარდენი 1672 წლის 10 სექტემბერს. აკ. გაწერელიას აზრით, ეს უნდა იყოს მდინარე ნაბადაზე მდებარე თანამედროვე სოფელი ყულევი.

იმავე რუკაზე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულია შემდეგი სამთავროები და მხარეები: გურია, სვანეთი, (სუანი), აფხაზთა სამფლობელო, კოლხეთის მცხოვრებნი — ოდიშარნი ან მეგრელნი. ამ შემთხვევაში რუკის ავტორი სამეგრელო-ოდიშს აიგივებს კოლხეთთან ფართო გაგებით. კოლხეთისა და მასში შემავალ ტერიტორიათა საზღვრების განხილვისას შარდენი წერს: „ეს მე ვიცი არა მარტო იქაური მცხოვრებლებისაგან, არამედ მე თვითონ ერთი კუთხიდან მეორემდის დამივლია ეს მხარე", გვ. 10-11).

ზემოხსენებული რუკა უძველესია ყველა იმ რუკათაგან, რომელიც დღეისათვის ჩვენთვის არის ცნობილი. მართალია, მასზე არ არის აღნიშნული ბევრი მთავარი ობიექტი, მაგრამ რაც არის, მთლიანად, როგორც რუკის წარწერა გვაუწყებს, შედგენილია „შარდენის წიგნში მითითებული ადგილების მიხედვით", მაგრამ იმ პერიოდისათვის (ე. ი. 1672 წ.). შარდენი საქართველოში მოგზაურობდა, მისი წიგნი კი ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. ისმება კითხვა: ვინ შეადგინა აღნიშნული რუკა, როდის და სად გამოიცა იგი?

ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი ჟან შარდენის (1643-1713) გვარი და მისი მოგზაურობის მოკლე ტექსტი. თარგმნილი ფრანგულიდან ვ. ბარნოვის მიერ. შარდენმა იმოგზაურა ირანში (ორჯერ). ინდოეთში, საქართველოში კი მოგზაურობდა შემდეგი მარშრუტით: იზგაური (ყულევი)—ანაკლია (ანარგია)—გონიო—ახალციხე — სურამი — გორი — თბილისი. მან სამეგრელოს მიწაში დიდძალი განძი დამალა, ამიტომ შარდენი თბილისიდან კვლავ ბრუნდება იმერეთში, იყო ქუთაისში და მისმა გაგზავნილმა ხალხმა განძი მოძებნა და მას მოუტანა, ამიტომ შარდენი კვლავ ბრუნდება თბილისში, საიდანაც ირანს მიემგზავრება.

საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელოში ყოფნის დროს, შარდენს დიდ დახმარებას უწევდნენ კათოლიკე-მისიონერები. მათ შორის ბევრი იყო დახელოვნებული ექიმი, ოქრომჭედელი, ხურო, მხატვარი, მასწავლებელი. მათ ჰქონდათ ასტრონომიული ხელსაწყოები. შარდენს ნავმისადგომ იზგაურში დახვდა იმ დროისათვის სამეგრელოში მყოფი თეატინთა ორდენის სახლის მეთაური დონ მარი ჟოზეფ ზამპი (ძამპი), რომელიც კარგი ექიმი და მხატვარი ყოფილა. შარდენისვე ცნობით, მისთვის შრომა გადაუცია მისიონერ ზამპის, რომელიც მოიცავდა სამეგრელოს ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიულ დახასიათებას.

ცნობილია, რომ შარდენს მოგზაურობაში თან ახლდა მხატვარი გრელო, რომელმაც დაამზადა იმდროინდელი თბილისის შესანიშნავი [illegible].

კვლავ ვუბრუნდებით რუკის ავტორობისა და შედგენის დროის საკითხს.

შარდენი დასავლეთ საქართველოში იყო 1672 წელს.

აღნიშნული რუკა შედგენილია 1672 წელს.

შარდენი ევროპაში დაბრუნდა 1677 წელს.

მისი ნაშრომი პირველად დაიბეჭდა 1689 წელს ლონდონში, 1711 წელს კი ფრანგულ ენაზე ამსტერდამში (14-ტომიანი ნაშრომიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა პირველი ტომი, რომელიც კავკასიის აღწერას მიეძღვნა).

ამ თარიღების შეპირისპირებით გამოდის. რომ დასავლეთ საქართველოს რუკა შედგენილ იქნა იმავე წელს, როდესაც შარდენი დასავლეთ საქართველოში იყო. ამრიგად, რუკისა და საქართველოში შარდენის ყოფნის თარიღები ერთმანეთს ემთხვევა, აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ აღნიშნული რუკა შედგენილია შარდენის მასალების მიხედვით (რასაც ადასტურებს რუკის წარწერა), მხატვარ გრელოს მიერ და სამეგრელოს კარგი მცოდნის, მისიონერ ზამპის დახმარებით.

რუკა შედგენილი უნდა იყოს ადგილზევე, შავად, მერე კი სტამბური წესით დაბეჭდილი (17 წლის შემდეგ) შარდენის შრომების გამოცემისათვის.

ისმება კითხვა, რა კარტოგრაფიული მასალებით სარგებლობდნენ რუკის ავტორები, როდესაც ისინი აღნიშნულ რუკას ადგენდნენ? აუცილებლად საჭირო იყო მათ ხელთ ჰქონოდათ რუკის საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი შედარებით ზუსტი რუკის შედგენა ადგილზე და დროის მცირე მონაკვეთში შეუძლებელი იქნებოდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ რუკაზე აღნიშნულია არა მარტო მთელი დასავლეთ საქართველო და ჩრდილოეთი კავკასია, არამედ ყირიმის ნახევარკუნძული და მთელი შავი ზღვის აუზი.

ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველოს სქემატური რუკა შედგენილია იმ კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე, რომელიც შარდენმა და მისმა მხატვარმა (იგულისხმება კარტოგრაფ-მხაზველი) ადგილზე (საქართველოში) მოიპოვეს ზამპისა და ქართველ მხაზველთა დახმარებით.

იმ დროისათვის საფრანგეთს უკვე გააჩნდა საკმაოდ კარგი კარტოგრაფიული რუკები ტავრისა (ყირიმი) და ჩრდილო კავკასიისა. „ადგილის მცოდნეთა" და მისიონერთა დახმარებით შარდენის რუკის პირველი მონახაზები დაზუსტდა, შეივსო და შავი ზღვისპირა ზოგიერთი ქვეყნების კარტოგრაფიული მასალების გამოყენებით გამოიცა შარდენის ნაშრომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ლონდონსა და ამსტერდამში.

ჩვენ უკვე მოგვეპოვება მსგავსი მაგალითები. მაგალითად, ცნობილია, რომ ევროპაში მოგზაურობის დროს სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV-ს წარუდგინა კარტოგრაფიული „ხელნაწერი მასალები", რაც შემდეგში გამოიყენა გეოგრაფმა გილიომ დელილმა და სხვა მასალების გამოყენებასთან ერთად გამოსცა ჩვენთვის უკვე საკმაოდ ცნობილი 1723 წლის რუკა.

სამი საუკუნის წინათ შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა ნათელყოფს ძველი ქართველი მხაზველ-კარტოგრაფების ხელოვნებას.

**გრ. ზარდალიშვილი**



დედა და შვილი.

# დღეგრძელობა

ფოტო გ. კიკვაძისა და ი. ჭოხონელიძის.



მარცხნიდან მარჯვნივ: 110 წლის თ. ვანაჩა, 106 წლის მ. ტარკილი, 78 წლის ჭ. გერზმავა, 94 წლის მ. საკანია და 73 წლის კ. ძიძარია.



კაცია ძიძარია და მახტი ტარკილი სოხუმის პლაჟზე.



ხფაფ ლასურია და მისი შვილიშვილის შვილი.



ხფაფ ლასურია — 136 წლის მოხუცი ქალი (ცენტრში) თავის ნათესავებთან.

84 წლის თარკუ ლასურია შვილიშვილებთან ერთად.



კოლმეურნე თემურ ვანაჩა 110 წლისაა (გუდაუთის რაიონი, სოფ. ლიხნი).



მახტი ტარკილი და კაცია ძიძარია.



თემურ ვანაჩა თავის ძალას სცდის.





ჩემი ბაღჩა.

ფოტო ბ. პაპიაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





# აჭარის
# პეიზაჟები



# ახალი ლექსები

### გიორგი გიგაური

## სიმართლე

სიმართლის ძალა,
ძალა ხალხთა სიჭაბუკისა
მომავლისაკენ გზას უნათებს
სამყაროს ახალს,
თუ ძალა მოგდევს,
ვერ ჩაგთვალოს ცამაც ულირსად,
ვარსკვლავებამდე ადვილად ახვალ.

დღეს თვით კოსმოსიც
არ გვეყოფა საზომად ძალის
ჩვენი სიბრძნის და ჩვენი სიმართლის,
ხმამ საბჭოეთის სადიდებლად
დარეკილ ზარის
გული აავსო სიხარულით,
რწმენით, სინათლით.

გამარჯვებათა სიმღერაა
ჩვენი ცხოვრება,
მთებმა ცრემლები ჩამოიწრიტეს...
მხიბლავს ამდენი
განთიადის განმეორება,
მიწის სირბილე,
მიწის სითბო, მიწის სიწითლე.

ეს ხომ ძალაა,
ალისფერი რომ გაალვია,
ღიმილის შუქი რომ მოჰფინა
სახეს ნაღვლიანს,
ეს ხომ ძალაა, —
ოქტომბერში გაშლილმა დროშამ
გაუძლო ხანძრებს, ქარტეხილებს,
გაუსწრო დრო-ჟამს.

რომ ხომალდები
მზის სამყაროს სერავენ ლაღად,
რომ კოსმონავტთა იზრდება რიგი,
ეს ხომ ამხდარი სიმართლეა
და იცის ბალღმაც,
მაშ ულიმლამო გაზღაპრება
ჯანდაბას იქით.

მომავლის სხივი გზას გაგვინათებს,
სიმართლისაკენ მივმართოთ გული,
რწმენა. სიმართლე,
ამაზე მეტს ნურარც ინატრებ,
რწმენით, სიმართლით
მიაღწევ სურვილს.

## ხევსურეთი

ირგვლივ მთებია,
რუხი ჭიუხი
თვალწარმტაცია,
როგორც ტაძარი,
მიწა განთქმულა სხივთა სიუხვით,
მზის სიყვარულით კერის ნაცარი.

ძირს დაცემული ნაჭერი ცისა —
ტბა ფერებს ფანტავს ცისარტყელებად,
ტბა — ხევსურეთის შარი, რიწა,
ტბა — სანახების ლურჯი მშვენება.

ლოდები,
ბევრზე ბევრი ლოდები,
აღმართულები სართულ-სართულად,
რაღაც უკეთესს ელოდებიან,
მოხუცებივით ფიქრში გართულან.

და მოხუცები ჩიბუხის ბოლით
გარუჯულები,
გათანგულები.
დამდგარან, როგორც არხოტის გორი,
დაუწურიათ ხელში გულები.

სიტყვას გეტყვიან მოკლედ და მოჭრით,
შიგ მთელი მთაა,
მთელი ცხოვრება,
ხევსურს ვერ ნახავ მოხრილს და მორჩილს,
იმ პაპაჩემის სულის ცხონებამ.

გადიჯირითებს მხედარი ახოს,
გაოფლილ ცხენით სათიბს დატორავს,
სად უნდა შეგხვდეს,
სად უნდა განახოს —
მოგესალმება თბილად, ხატოვნად.

— ხელმაგიმართას,
გწყალობდას ღმერთი,
ჩემთან სტუმრობა ალბათ გენება...
და მერე ველარ დაუსვამს წერტილს
ფრთიან სტრიქონთა ამოგელვებას.

## ფიქრები

ტკბილია შენთვის თავის განწირვა
სულს ეს ამაღლებს და ალამაზებს.
შენი კენჭები მიჯობს ასწილად
სხვის ბრილიანტებს,
ლალებს,
ალმასებს.

მე შენს ტაძართან ვარ მუხლმოყრილი,
მე მითიბია შენი სათიბი.
მე მამხნევებდა შენი საყვირი.
მეფარა კალთა შენი ქათიბის.

მზრდიდა,
მათბობდა შენი ფარაჯა,
შენი ულრუბლო ცა მამშვიდებდა,
შენი სახელის ვიდექ დარაჯად
ქართან,
ქაოსთან,
ზვავთან,
ზვირთებთან.

იქნებ ვერ შევძელ მეთქვა სათქმელი,
დიდ სიყვარულში ვერ დაგარწმუნე
და ვერ ავხადე ამ გულს სარქველი,
ამ გულს,
რომელიც შენთვის დავწურე.
იქნებ გამრუდდა ჩემი ბილიკი,
გამიტყდა სიტყვა,
გამიწყრა ღმერთი,
ვერ გავაკეთე იქნებ,
ვინ იცის,
რის გაკეთებაც მინდოდა შენთვის...

აჰა. გავმართე ჩემ თავთან დავა
და შენზე ფიქრი აღარ მეშვება,
მე შენგან ველი სიკეთეს კვლავაც,
სულში იმედის ჩამოკვეხებას.

შენი ჭალების წყარო მარადჟამს.
შენი ფარების მწუხრში ვიქცევი,
და თუ სიკვდილმა დამიდარაჯა,
დამიფარავენ შენზე ფიქრები.

მეც მიძოვია ლორთქო ბალახი,
ფრთა დამილოცა შენმა არწივმა,
სხვის ედემს მიჯობს შენი ტალახი,
ტკბილია შენთვის თავისგანწირვა.

### ვერიკო წერეთელი

## ყვირილა

მოდიხარ, არ გევხარ დაღლილს, ღამენათევს,
შენი ხმა მელვრება გულში ტრფობასავით,
მწვანედ მოშრიალე ფერდობებს, მთის კალთებს
ძირში მოვლებიხარ შავი ქობასავით.
შავი ხარ? ვინა თქვა! შავი ხარ კი არა,
შენ ჩემთვის თეთრი ხარ, კამკამა, წკრიალა.
ქვებზე მახეთქილი ბგერებად იშლები,
შავ შხეფად იშლები, შავი ქვით ნალები,
როგორც როიალის შავი კლავიშები,
ირხევა, ხმიანობს ეგ შენი ტალღები.
ბევრჯერ შენს საჩუქრად გზად შემიკონია
შინდვრის ყვავილები: ენძელა, გვირილა...
შენც გაგიტაცნია და დღესაც მგონია,
მადლობას მიხდიდი შენ, ჩემო ყვირილა!
ჩემი სიყვარული და ჩემი ნატვრა ხარ,
არ დგეხარ მაღლა ცას შემყურე ხესავით,
მიდიხარ, მიდიხარ, და მაინც აქა ხარ,
დაუსრულებელო შენ სიცოცხლესავით.

### აკაკი ძინძიბაძე

## თიბვა

ივლისის მზემ ირგვლივეთი
მოთენთა და მიარინდა,
მერე, ველი ახმაურდა
ცელთა ჩვენთა წკრიალითა.

ჰანგი ვჭექეთ მთიბველებმა,
არ ვართ ძველი მონამგლენი,
ლექსო, შენ კი გაიხარე
მინდორშიც რომ მოგვაგენი.

ნაირფერით სავსე ზეცამ
სული უნდა გაგვინათოს,
გაშლილ მწკრივებს გადაევლო
მალე სიტყვა საკვიმატო.

აბრიალდა გულის თონე,
მკლავმაც გაიმამაცურა,
ჩვენმა რიგმა მწვანე ველი
ცელის ქნევით გადასცურა.

დრო კი გაჰქრა შეუმჩნევლად,
როგორც თოვლი შარშანდელი,
გვიან მუხლიც შევასვენეთ —
არც რა ამით დაშავდების.

მალე ისევ ავყიყინდით,
კვლავ ვიქეცით სიმღერებად,
შუადღემდე ბოლო სვრელიც
გავიტანეთ მთიბველებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი გეწაძე

აკაკი გეწაძეს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. ომის დროს ის მამაცი ჯარისკაცი იყო. სტალინგრადი, კურსკი, ხარკოვი, იასა, ბუდაპეშტი, ბრატისლავა — ასეთი იყო მისი საბრძოლო გზა. დაბრუნდა შინ და ავტომატის ნაცვლად კალამი რომ აიღო ხელთ, მრავალი შესანიშნავი ლექსი, მოთხრობა, რომანი და პიესა გამოაქვეყნა. აქ უნდა დავასახელოთ მისი ლექსების წიგნები: „ჩემი ასეული" (1953 წ.), „მდინარის ტოტი" (1957 წ.), „თეთრი გემები" (1965 წ.); რომანები: „ყარამან ყანთელაძე" (1964 წ.), „ჯვარცმული მზე" (1968 წ.), „მუზარადში ამოსული ყვავილი" (1971 წ.); პიესები: „მზე ცრემლში" (1961 წ.), „წმინდანები ჯოჯოხეთში" (1967 წ.), „პაემანი ცაში" (1971 წ.) და სხვა.

აკაკიმ ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრები არ იკმარა და იუმორშიც სცადა თავისი კალამი. აქაც გაუღიმა ბედმა, აქაც მან არაერთგზის გაახარა მკითხველის გული.

იმ დილით, როცა აკაკის 50 წელი შეუსრულდა, ქოჩორი გადაივარცხნა, კოხტად გამოეწყო, დიდხანს იცქირებოდა სარკეში, მერე საწერ მაგიდას მიუჯდა და დაუწყო ლოდინი ჟურნალისტ-რეპორტიორებს, რომლებიც ინტერვიუს ჩამოსართმევად უნდა მოსულიყვნენ, თანაც შინაურები გააფრთხილა — ამ დილით ჩემს ბინას დიდძალი ხალხი მოაწყდება და ყველას ერთად ნუ შემოუშვებთო. ჩვენს ბედზე, ჟურნალ „დროშის" კორესპონდენტი ყველაზე ადრე მივიდა და იუბილარს რამდენიმე შეკითხვა მისცა. ქვემოთ გთავაზობთ მწერლის პასუხებს.

# მოთხრობა-ინტერვიუ

— პატივცემულო აკაკი, რა შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი სიყრმის პირველი დღეებიდან?

—გავჩნდი თუ არა ამ ქვეყანაზე, მოფრინდა სამი ანგელოზი და აფარფატდა ჩემს თავზე. მე უკვე ინტუიციით მესმოდა, რასაც ისინი ჩურჩულებდნენ. აკაკი წერეთელივით სულ ცას უყურებს, ალბათ, პოეტი გამოვა და აკაკი დავარქვათო.

ეტყობა ჩემზე უვიცები იყვნენ. მე შიშველ ანგელოზებს მივშტერებოდი, იმათ კი ეგონათ, ცაში იყურებაო. ასე შეცდომით და თითქმის ძალისძალათი დამანათლეს ანგელოზებმა რვა წლის წინათ მთაწმინდაზე გადასახლებული პოეტის სახელი (მე ხომ ცხრაასოცდასამში ვარ დაბადებული), მის საქმეს გააგრძელებსო. რაკი დამანათლეს, თანდათან შევიშვენე კიდეც.

— როდის და რა ვითარებაში დაიწყეთ ლექსების წერა?

— ეს ფრონტზე მოხდა. ცალ ხელში თოფი მეჭირა, მეორეში ნეკისტოლა ფანქარი და ტყვიამფრქვევის სისწრაფით ვისროდი ლექსებს საქართველოსკენ. ხოლო ვიდრე გამოვაფრენდი, დენთის ბუდეში ვწერდი ჯარისკაცის ღვედივით უხეშ, თოფისწამლისფერ ქაღალდზე. იმ ლექსებს, თქვენ წარმოიდგინეთ, რედაქციის კარზე აუტუზებლად მიბეჭდავდნენ. ამით გათამამებული ლექსებს მაშინაც კი ვწერდი, სვასტიკიანი თვითმფრინავები ყუმბარებს გულუხვად რომ მაყრიდნენ გადახოტრილ თავზე. ლექსების წერის სიგლახეს ბავშვობიდანვე დავეჩვიე და ფრონტზე ვინ მომაშლევინებდა! მერედა, ნეტავი გენახათ, რა მაგარ-მაგარი ლექსები გამომდიოდა მაშინ! ალბათ, ამ სიმაგრეს მაშინდელი ქაღალდიც უწყობდა ხელს. ჰოდა, სვასტიკიანი თვითმფრინავების სულ არ მეშინოდა, თავზე იმ ლექსებს ვიფარებდი ხოლმე და დიდ ყუმბარებსაც კი ცერცვის მარცვალივით ირეკლავდა. აბა, თქვენ როგორ გგონიათ, იმ დაუნდობელ ომს როგორ გადავურჩი! ომის ღმერთის რისხვისაგან მუზის შვილებმა დამიფარეს, ჩემივე მუზის შვილებმა. სამწუხაროდ, იმ ლექსებმა ომის დამთავრებისთანავე დაკარგეს სიძლიერე, თორემ ახლაც გამომადგებოდა კრიტიკოსების ყუმბარმშენებისაგან თავის დასაცავად.

— რა წარმატებები გქონდათ სპორტში, რომელი სახეობა უფრო გიტაცებდათ?

— ბავშვობიდანვე ვაღმერთებდი სპორტს. დილიდან საღამომდე დავდევდი ბურთს ან იხვივით დავცურავდი რიონში. ერთხელ ისეთ მაღალ მთაზეც ავედი, მე ღრუბლების ზემოთ მზეს ვეფიცხებოდი, ქვევით კი ხვავრიელად თოვდა.

სპორტში ერთხელ მსოფლიო რეკორდიც კი დავამყარე, მაგრამ რაკი ამას მსაჯები არ დასწრებიან, დავრჩი ხახამშრალი.

დემობილიზაციით ჯარიდან შინ მოვემგზავრებოდი. დილით ეშელონი პატარა სადგურზე გაჩერდა. აპრილი იყო და პერანგისამარა ჩავხტი ძირს, პირს დავიბან-მეთქი. მიმასწავლეს: წყალი მოფარებულშიაო. ვიბან პირს რაჭული სიდინჯით და გულმოდგინებით. უცებ ბორბლების ჯახაჯუხი მესმის. გავიქეცი, მაგრამ მატარებლის კუდსღა მოვკარი თვალი.

— ვაი-მეთქი, დავიძახე. რაც სადემობილიზაციო ფული მომცეს, რაც რამერუმე დამიგროვდა ჯარში სამსახურის დროს, რაც ამ ხუთ წელიწადში რამე დავწერე, ყველაფერი იმ მატარებელმა გააქანა და მე შერისხულივით დამტოვა უცებ პატარა სადგურზე. არც ნაცნობი ვინმე, არც საბუთი, არც ფული! პატარა თეთრი პირსახოცი მიჭირავს ხელში ბაირაღივით და ერთი ახალი პერანგი მაცვია, სულ ეს არის ჩემი ავლა-დიდება. ისღა დამრჩენია, კაცია მუნჯაძესავით რელსზე დავდო ომში სასწაულით გადარჩენილი თავი და თვითმკვლელობა რომ არ დამაბრალონ, თავი მოვიმძინარო. ალბათ, ასე სასოწარკვეთილი სტალინგრადშიც არ ვყოფილვარ, სახლის ზედა სართულში ფაშისტი მეავტომატეები რომ იყვნენ ჩასაფრებული, ჩვენ კი ქვედა სართულში ვიყავით გართხმულნი.

— ძმობილო, ის შენი ეშელონი ამ სადგურიდან მოულოდნელად იმიტომ გააქანეს, მეზობელ სადგურში უნდა გაჩერდეს ერთი საათი. აქედან ოცთოდე კილომეტრია. ცდა ბედის მონახევრეაო, — მითხრა მეისრემ.

სასოწარკვეთილება მბჟუტავმა იმედმა გახვრიტა ერთგან და... უცებ ამაფეთქა. ახლაც არ ვიცი, იმდენი ძალ-ღონე რა ღმერთმა გამომიგზავნა. რაჭული სიდინჯე უცებ იქვე დავაგდე, დავკარი ფეხი და... ელვისებური სისწრაფით გაიქცა ჩემს ფეხქვეშ შავი შპალების ძირს გართხმული კიბე.

ბედად უქარო მზიან დღე იყო, მაგრამ მე ვერც მზეს ვხედავდი, ვერც სხვა რამეს. ვიყურებოდი მხოლოდ წინ და პერანგს თეთრი ბაირაღივით მივაფრიალებდი. თითქოს ვიღაც უხილავს ჩემს იღლიებში შეეყო ხელები და სინათლის სხივის სიჩქარით მიმაქანებდა.

— არ დანებდე! უსიკვდილოდ უნდა მიუსწრო, უსიკვდილოდ უნდა მიუსწრო!

— უნდა მიუსწრო, უნდა მიუსწრო, უნდა მიუსწრო, თორემ...

— მიუსწრებ! მიუსწრებ, მიუსწრებ, მიუსწრებ!

ზუსტად ერთი ნაბიჯით, ზუსტად ერთი წამით მივუსწარი ეშელონს. ხელი ჩამომიწოდეს, ვაგონში ფეხი შევდგი, სუნთქვაშეკრული დავეცი ძირს და მატარებელიც დაიძრა.

არ ეკუთვნის ახლა ამ ამბავს ერთი ხოშიანი ლოზუნგი?

— გაუმარჯოს იმ ერთ წამს, ჩვენი სიცოცხლისათვის ზოგჯერ ერთ საუკუნეს რომ უდრის! უკვალოდ დაკარგულ ჭეშმარიტ მსოფლიო რეკორდებსაც გაუმარჯოს!

— კიდევ რა ღვაწლი მიგიძღვით, რომელიც აღუნიშნავი დარჩენილა?

— არა, ჩემი უდიდესი ღვაწლი ამა თუ იმ საქმის ასპარეზზე ყოველთვის ასე დაუფასებელი და აღუნიშნავი როდი რჩებოდა. უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების დროს სცენაზე მე იმდენად კარგად ვკითხულობდი საკუთარ ლექსებს, რომ მომცეს საპატიო სიგელი, როგორც მოცეკვავეთა ჯგუფის ინდივიდუალურ შემსრულებელს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ოდესმე არც სხვის დუდუკზე მიცეკვნია, არც ისე. პატარაობისას ყველასგან ფარულად ბოსელში ვსწავლობდი ფეხის გასმა-გამოსმას და უცებ: ტყლაპ ნეხვში! ეს იყო და ეს, ცეკვა აღარასოდეს მიცდია.

ამას აქ იმიტომ ვღაღადებ, რომ ჩემი მომავალი ბიოგრაფი სიგელმა შეცდომაში არ შეიყვანოს. თუმცა ეს არც ისეთი მომაკვდინებელი ცოდვაა! ფრონტზე ამაზე უარესი რამ მომივიდა.

1943 წლის ორ აგვისტოს დაზვერვიდან დავბრუნდი და მითხრეს: გინდა თუ არა, შტაბში უნდა წახვიდე და მიიღო მედალი „მამაცობისთვისო“. წავედი და მედალი მივიღე. მეორე დღეს იერიშზე გადავედით და მე ორლულიანი საზენიტო ტყვიამფრქვევით ორი სვასტიკიანი თვითმფრინავი ჩამოვაგდე ციდან. შტაბში უმალვე შეადგინეს ამის ოქმი, მაგრამ ჯილდო აღარ მომცეს. ალბათ, იფიქრეს, გუშინ სიმამაცის მედალი დავკიდეთ და ახლა ისევ ჯილდო რომ მივუმატოთ, მეტი მოუვაო. აქვე დავსძენ: იმ ორივე ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან ორი მფრინავი გადმოხტა პარაშუტით და ტყვედ ჩავვბარდა. სხვათა შორის, მათ ძალზე საჭირო ცნობები მისცეს ჩვენს შტაბს — მათგან გაიგეს ჩვენებმა, რომ მეორე დღისთვის გერმანელები ჩვენს პოზიციებზე დიდ საჰაერო თავდასხმას ამზადებდნენ.

— ბატონო აკაკი, ასაკთან შედარებით თქვენ ძლიერ ახალგაზრდად გამოიყურებით. გვითხარით, როგორ ინარჩუნებთ ასეთ ჭაბუკურ იერს?

— დღეს უკვე ოცზე მეტი წიგნის მშობელი ვარ და არავის სჯერა, ქართული კედლის კალენდრის გარდა, რომ წელს ორმოცდაათი წლისა ვხდები. მსაყვედურებენ: ჭაბუკივითა ხარ, მართალია, ბოლო დროს თეთრი ლექსების წერა მოუხშირე, მაგრამ თმა სულ არ გითეთრდებაო. ამაში არის ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი, მაგრამ, გეფიცებით ჩემს ცოცხალ და გარდაცვლილ, თეთრ და შავ ლექსებს, ამ ამბავში გენეტიკას არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის, ეს საკუთრად ჩემი საიდუმლოა და თუ არ გამამხელთ, აქვე გაგანდობთ ჩემი ახალგაზრდობის შენარჩუნების უტყუარ ელექსირს. ახალგაზრდობას მე მხოლოდ მწერლობით ვინარჩუნებ.

ჯერ ახალგაზრდა პოეტი ვიყავი, მერე ახალგაზრდა პროზაიკოსი გავხდი. მერე ახალგაზრდა მთარგმნელსაც მეძახდნენ (ვთარგმნიდი ოსურიდან, აფხაზურიდან, ბაშკირულიდან, იაპონურიდან და უამრავი სხვა ენებიდან... რუსულის წყალობით), მერე კრიტიკოსობას მივყავი ხელი და აქაც ახალგაზრდად მომნათლეს, მერე ახალგაზრდა დრამატურგის სახელი დავიმკვიდრე და ასე, თავიდან ბოლომდე, არ მომშორდა ახალგაზრდის იერ-სახე. ხომ კარგია, როცა სულ ახალგაზრდა ხარ, სხვები ბერდებიან, შენ კი არა?

ახლა უკვე ახალგაზრდა იუმორისტი მწერლის სახელს ვებღაუჭები ორივე დაკოჟრილი ბებერი ხელით. ადვილად შესაძლებელია, ჩვენმა მკითხველმა ახალგაზრდა იუმორისტი მწერლის ტიტული სულაც არ გაიმეტოს ჩემთვის და უკბილო ბებრადაც კი მომნათლოს, მაგრამ რას ვიზამთ, კაცნი ვართ და თითო ნაკლი ყველას გვაქვს. ადამიანს სიჭაბუკე როდემდე ეყოფა! მე ჩვეული სიჯიუტით მაინც ვიბრძვი სულის ამოხდომამდე, რომ აქაც შევინარჩუნო ახალგაზრდობა. აქვე სხვებსაც ვურჩევ, თუ ახალგაზრდობის შენარჩუნება უნდა, ნუ შეაბერდება ლიტერატურის ერთ ქეციან ჟანრს.

— გაუმარჯოს მწერლობაში მარადიულ, უჭკნობ სიჭაბუკეს!

— პატივცემულო აკაკი, ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ, თუ რა ლიტერატურული პრემიები გაქვთ მიღებული? კიდევ აპირებთ თუ არა პრემიის მიღებას?

— წინასწარ უნდა მოგახსენოთ, რომ გამოუსწორებელი ჯიუტი ვარ. მხოლოდ და მხოლოდ ჩემი შეუპოვარი და თავგანწირული სიჯიუტის ბრალია, ეს ათი წელია პიესების კონკურსზე თითქმის ყოველთვის პრემიას რომ ვღებულობ, ხოლო „წმინდანებისათვის“ მოსკოვიდან ორჯერ საკავშირო პრემიაც რომ მესროლეს და მერე, ჯარისკაცის დამატებით ულუფასავით, მესამე ჯილდოდ პირველი ხარისხის დიპლომიც რომ მოაყოლეს.



უალრესად ხათრიანი და მორიდებული კაცი ვარ და ვერც ერთ პრემიაზე და ჯილდოზე უარი ვერ ვთქვი. თუმცა ეს ჩემი ხათრიანობა, ბოლოს და ბოლოს, დაუსჯელი როდი დარჩა: ერთმა თავხედობამ მონათლა, მეორემ — ქრონიკულ ავადმყოფობად.

პირველად რომ პრემია მომცეს, ბევრმა ნაცნობმა და უცნობმა მომილოცა, მეორედ — მომლოცველი გამინახევრდა, მესამედ — ექვსჯერ შემიმცირდა, მეექვსედ კი — ჟიურის წევრთა გარდა ხელი არავის ჩამოურთმევია, ხოლო პირზე კოცნით კაციშვილი არავინ შემგებებია. ასე თანდათან მიდიდდებოდა პრემიების რიცხვი და მიმცირებოდა მომლოცველნი.

გვარდიულ პირობას ვდებ, მართლა გავთამამგავთავხედდები და მეტ პრემიას არაფრის გზით არ მივიღებ, თუ თოფით არ დამადგნენ თავზე და არ მომისაჯეს. თუ მომისაჯეს, თავზევით ძალა ვისა აქვს, უნდა გავუძლო ამ უბედურებას, ხელი ჩავიქნიო და შევურიგდე. ფრონტზე ამაზე ბევრი გაჭირვება გადამიტანია, მაგრამ სულით არასოდეს დავცემულვარ. ის მებრძოლი, შეუპოვარი, მოუდრეკელი სული აქამდე გამომყვა.

— ჩვენ დიდად გვაინტერესებს თქვენი მოღვაწეობა ე. წ. სიცილის სამქროში, ანუ იუმორის სფეროში. რას იტყვით ამის თაობაზე?

— ერთხელ შემაცდინა ღმერთის ნაბიჭვარმა ეშმაკმა და „ნიანგის“ კონკურსშიც მიმაღებინა მონაწილეობა. რამდენიმე ხუმრობა „ბუბა ქაქუჩელას“ ფსევდონიმით გავგზავნე. მაგრამ ამოეფარე ფსევდონიმს რამდენიც გინდა, ჩემი ხუმრობის განუმეორებელ სტილს ვინ არ იცნობს და... თრახ! აქაც გამიწყრა ღმერთი: ჩემს ნაბიჭვარ სატანას როგორ აჰყევიო! კონკურსში გამარჯვებული სამი მიკროსკოპული მინიატურა ფართოდ გაშლილ გვერდზე გამომიჭიმეს „ნიანგში“ და უცებ გრანდიოზული, ქვეყნად არსმენილი საკვირველების მოწმე გავხდეს.

მანამდე მე ლექსების ექვსი წიგნი მივიტანე პოეზიის მრავალსაუკუნოვანი დიდი ტაძრის უწმინდეს მაღალ საკურთხეველთან და არაფერი. ორი პრემირებული ჩემი პიესა უკვე იდგმებოდა და არაფერი. ვინ ხარ და რა ხარ. გამოვაქვეყნე რამდენიმე დიდი და პატარა მოთხრობა, მხატვრული ნარკვევი და თარგმანი, მაინც არაფერი. იმხანად სწორედ ახალი გამოსული იყო ჩემი დიდტანიანი, თითქმის ოცდაათთაბახიანი იუმორისტულ-სათავგადასავლო რომანი „ყარამან ყანთელაძე“ და ისიც არაფერი. აი, „ნიანგის“ კონკურსში გამარჯვებულმა სამად სამმა, კვირტში ახლად გამოსული ტყემალივით მომცრო მინიატურამ კი მყისვე სასწაულად იფეთქა: ვინ აღარ მილოცავდა! თუ ოდესმე ვინმეს ჩემი სახელი ჰქონდა გაგონილი, ვიცნობდი თუ არ ვიცნობდი, ყველა ღიმილით მხვდებოდა: ეს ვინ ყოფილხარ, კაცო, შენ, დაგვხოცე სიცილითო. მგონი, წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვიც არ დარჩენილა საქართველოში, ის მინიატურები რომ არ წაეკითხა. ზოგმა ამის წასაკითხადაც კი ისწავლა სპეციალურად კითხვა. ერთმა შორეული კალმოძმეობიდანაც კი მომწერა: მომკალი სიცილითო. მოკლედ: იმ პაწია მინიატურებით ხალხმა უუზარმაზარ მწერლად მაღიარა.



გულმა გულისა უნდა თქვასო. აქამდე ვერ გავიგე, რაზე იცინოდნენ, მაგრამ ყველა ერთსა და იმავეს გაიძახოდა, დაგვხოცე სიცილითო და მეც რა მექნა? ხალხს ცივ წყალს ხომ არ გადავასხამდი, არა მჯერა, ურწმუნო თომა ვარ-მეთქი. ყველას დარცხვენილი ვუსმენდი და გულში მეცინებოდა, ოღონდ, აქამდე ზუსტად ვერც ის დავადგინე, რაზე მეცინებოდა.

ომში ხან ოპტიკურთვალიანი სნაიპერის შაშხანა მეჭირა ხელში, ხან ტყვიამფრქვევი, ხან ტანკსაწინააღმდეგო გრძელი თოფი, ერთხანს „კატიუშასაც“ ვამღერებდი დამაყრუებლად, მაგრამ ფრონტზე ჩემი მოკლული კაცი არ მინახავს თვალით და მშვიდობის ჟამს ჩემმა სამმა მინიატურამ უამრავი ხალხი რომ დახოცა სიცილით, ამან ერთობ ჩამაფიქრა: ზოგჯერ სიცილს რა შესძლებია-მეთქი. ვიღაცამ თქვა: ერთი გაღიმება ცხრა წუთნახევრით უხანგრძლივებს ადამიანს სიცოცხლეს, ხოლო გულიანი სიცილი კიდევ უფრო უებარი წამალიაო. კი, ბატონო, მაგრამ, ის რა წამალია, თუ კლავს ადამიანს, თუ ხოცავს პატიოსან ხალხს. მათ შორის შენს გულითად მეგობრებსაც! ჯერ თუ კლავს და მერე უმალვე აცოცხლებს, ეს სხვა ამბავია! მაშინ, ჩემი თავი გენაცვალოთ, მართლაც სასწაულმოქმედი წამალი ყოფილა. კი მინდა ეს დავიჯერო ქრისტესთან ერთად ამქვეყნად მეორედ მოსვლასავით, მაგრამ აქვე გაკვირვებასაც ვერ ვმალავ: თუ ეს მართალია, „ნიანგს“ აფთიაქებში რატომ არ ყიდიან? ესეც საზღვარგარეთიდან ჩუმჩუმელად შემოტანილი წამალი ხომ არაა, თბილისის ერთ ძველ უბანში ხელზე რომ იყიდება მამასისხლად, ამას ყველა აშკარად რომ ხედავს და ვისაც სკამით თუ კანონით ევალება, ის თითქოს რომ ვერ ამჩნევს!

სწორედ ჩემი მინიატურების საქვეყნოდ გახმაურების ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში მივდივარ თავაწეული და ვხედავ: ქვაფენილზე გულაღმა უძრავად გაშოტილა ერთი გრძელი კაცი და პირსახეზე „ნიანგი“ აფარია. ადამიანის სიკვდილი, აბა, როგორ გამეხარდება, მაგრამ, სულო ცოდვილო, გულის ერთ მიყრუებულ კუნჭულში, სადაც ეშმაკი შემომიძვრება ხოლმე და ღამეს ათევს, ერთგვარი პატარა სიამაყე მაინც ვიგრძენი: აი, ხალხის ნათქვამის ცოცხალი დადასტურება, იმ ჩემს იუმორისტულ მინიატურებს კაცი სიცილით ნამდვილად მოუკლავს-მეთქი. მივუახლოვდი და... არც ის „ნიანგი“ გამოდგა ახალი, არც ის გულაღმა გაშოტილი კაცი — მკვდარი. უგონოდ გალეშილი ეგდო, ეგ იყო და ეგ.

მართალია, აქ ჩემს წამიერ გაფიქრებას ხელი მოეცარა, მაგრამ თავი დამარცხებულად სულაც არ მიმიჩნევია, არც იმ სამი მინიატურის სასწაულთმოქმედ გრძნეულებაზე შემცვლია აზრი.

— რას იტყვით მკითხველებზე, როგორ ეხმაურებიან ისინი თქვენს ნაწარმოებებს?

— რამდენიმე ძალიან ორიგინალურად თავდადებული მკითხველი მყავს და რომ არ გაგაცნოთ, თუნდაც ალსარების დროს რაიმე დიდი ცოდვა დამემალოს, ისე დავიტანჯები. ვინაიდან ისინი ერთმანეთს ტყუპისცალებივით ჰგვანან, ერთზე გიამბობთ და დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ.

— უჰ, კაცო, შენ თურმე პოეტი გამხდარხარ! ნამეტანი გამეხარდა, ნამეტანი! — მებრძოლვნა მაქსიმე ამ ოციოდე წლის წინათ და ისე გადამეხვია, ორივე ნეკნების წიწკინი გავიგონე, მკოცნა და

გონდო კეშელავა

## ნამოსახლართან

დაუნგრევიათ ის ოდა-სახლი,
მზით დამერწილი წაბლის კედელი.
ეზოს გაცლია შუქი სიახლის,
ხელს მკიდებს სევდა ბნელში მჭვრეტელის.

შემორჩენია მხოლოდ ჭიშკარი
იმ ღობეს, სადაც სიცოცხლე დუღდა.
ეს გარემო და ეს ნაფუძარი
დასანანია, ემსგავსოს ულრანს.

ჯერ კიდევ ხეხილს ნაყოფი ამკობს.
უწყიფარი თუ გვერდშებრაწული,
მომაშორეთო — ხე ლაპარაკობს —
ტოტები ხმელი და აჩხვარკული.

მემკვიდრე არ ჩანს, მემკვიდრე არ ჩანს,
კაცურ-კაცს გული უთუოდ წყდება..
კარმიდამო თუ შიშველი დარჩა,
ვინც აქ იცხოვრა — არდავიწყება.

იმ კარგი კაცის, იმ გამრჯე კაცის
წარსულს ვიგონებ, ვტკბები, ვისვენებ...
თუ ვინმეს წასკდა მისებრ კარკაცა,-
სადაც არ ვიყო, მას - გავიხსენებ.

მებრძვის ეზოში შესვლის სურვილი,
ფარჩხები ჭიშკარს რომ აფარლო...
სავსე თავთავის ხილვის წყურვილი
არ მოგვანატრო, პურის მარცვალო!..

სოფ. ბარდუბანი.

მკოცნა, სანამ თვითონაც არ დაიღალა და მეც არ გამასავათა. — ისე, ჯერ კი ვერ მოვასწარი შენი ლექსების წიგნის წაკითხვა. მარა, რაკი აქებენ, ხალხს დაეჯერება. ზოგი „ვეფხისტყაოსანს“ იმიტომაც აღარ კითხულობს, რომ იცის კარგია, სხვებისგან იცის. რას გვიწერ ახალს?

— დიდი მოთხრობა დავწერე, თორმეტთაბახიანი.

— ოჰო! დიდებულია, დიდებული! უსიკვდილოდ წავიკითხავ. მე მოთხრობების გიჟი ვარ. სულ ასე წარმატებით გევლოს, ძმაო და მეგობარო!

ორიოდე წლის შემდეგ კვლავ შემხვდა მაქსიმე.

— გავიგე, კარგი მოთხრობა დაგიწერია. გაზეთში აქებდნენ, რადიოშიც. ღმერთმანი ძალიან მიხარია შენი წარმატებები. მე არ წამიკითხავს, მარა, რაკი აქებენ... ახალი რა დაწერე, ბიჭო?

— პიესა.

— მერე დგამენ?

— კი.

— უჰ, აგაშენა ღმერთმა! უეჭველად ვნახავ. თეატრი ჩემი ხობია.

გავიდა ხუთიოდე წელი, მაქსიმემ ქუჩის მეორე მხრიდან მომკრა თვალი, მოძრაობის წესი დაარღვია, ქუჩა სირბილით გადმოჭრა და კვლავ დათვივით მებრდღვნა.

— სად დაიკარგე. კაცო? დღე და ღამე წერ და წერ, ჰა! მაგრად იდგმება შენი პიესები, ხომ იცი. აქაც, იქაც. პრემიებს მარტო შენ რომ იღებ, ცოტა სხვასაც დაუტოვე. კიდევ გადის ხომ? უსიკვდილოდ უნდა ვნახო. რას წერ ახალს, რით გაახარებ ქვეყანას?

— რომანი დავწერე.

— ა, გაგახაროს ღმერთმა! ისე რა მწერალი ხარ, ერთი რომანი მაინც თუ არ დაგდე საშვილიშვილოდ. მე რომანი თუ არ წავიკითხე, არ მეძინება. მალე დაიბეჭდება?

— დაიბეჭდა და ეს არი.

— უსათუოდ წავიკითხავ. ეგრე, ბიჭო, დააჩოქე ყველა!

ბოლო დროს უფრო ხშირად მხვდება და თითქმის ყოველთვის ერთნაირ დიალოგს ვმართავთ.

— ახალი რა დაწერე, კალამდალოცვილო?

— ძველი წაიკითხე?

— აჰ! ძველის წაკითხვა რაღა საჭიროა, ახალი ყოველთვის უფრო საინტერესოა... მე მხოლოდ ახალი მაინტერესებს. შე რჯულძაღლო, ხომ არ შემოგაკლდა საწერი? მიდი, მისცხე შენებურად, აჯობე მკვდრებსაც და ცოცხლებსაც. იმედი არ გამიცრუო. ბიჭო, ხომ იცი, მე ყველაზე მეტად მაინტერესებს შენი ახალი ნაწარმოებები: გინდა ლექსი იყოს, გინდა მოთხრობა, გინდა რომანი. გინდა პიესა. კი, მე ყველაფერი მიყვარს, რაც ახალია!

აი, ასეთი მკითხველები რომ მყავს ბევრი, მათი გადამკიდე, იძულებული ვარ, სულ ახალი და



ახალი ნაწარმოებები ვწერო. ისინი მასულდგმულებენ მე! აბა ასეთი თავდადებული მკითხველები რომ არ მყავდნენ, ყოველთვის ზეციური მუზის წყალობის იმედად ჩემი მტერი დარჩეს!

— პატივცემულო აკაკი, უკანასკნელი, ასე ვთქვათ, ტრადიციული კითხვა — როგორია თქვენი მომავალი მუშაობის გეგმები?

— რაკი დღეს კრიტიკისა და თვითკრიტიკას მღელვარე ვითარებაში ვცხოვრობთ, ფეხი უნდა ავუწყოთ ამ ვითარებას. ვიდრე მე სხვა მეტყვის ჩემს ნაკლს და მომიკლავს გულს, მირჩევნია, ჩემი ნაკლი მევე ვაღიარო. აღსარება კაცს არ კლავს, მხოლოდ ცოდვებისაგან ათავისუფლებს.

წინათ რატომღაც არასერიოზულად ვეკიდებოდი მწერლობაში ხუმრობას და აი, დავრწმუნდი ბოლოს და ბოლოს, რომ იგი ყველაზე დიდ და სერიოზულ ჩაფიქრებას მოითხოვს. იუმორისტული მოთხრობა იქნება თუ სხვა სახუმარო რამე, სერიოზულად უნდა დაიწეროს. ხუმრობა ხომ ყველაზე რთული მოვლენაა.

ასე რომ, გემრიელი ხუმრობა ოდნავადაც არ არის უბრალოდ სახუმრო ამბავი.

და აი, მე ვაფრიალებ აქ თვითკრიტიკის დროშას და ვაღიარებ, რომ ვერ გამოვიჩინე თავის დროზე მომჭირნეობა. ჩემი პატარა თუ დიდი ხუმრობები გზადაგზა შემომეხარჯა სხვა წიგნებში და ამ თხზულებისთვის ერთობ ცოტა დამრჩა, რისთვისაც გრძელ რაჭულ ბოდიშს ვიხდი დაგვიანებით.

ამ ხუმრობებით, სხვაზე თუ არაფერზე, ჩემ თავზე მაინც გავაცინებ რამდენიმე კაცს, ესეც ხომ საქმეა სიცილის თანამედროვე ფრონტზე?

კალდებულებას ვკისრულობ, ჩემს ახალ იუმორისტულ მოთხრობებსა და კომედიებშიც თანდათან გავადიდო სიცილის წარმოება, წლიური გეგმა ორას-სამასი პროცენტით შევასრულო და ჩემი ფაბრიკა-ქარხნის საამქროებში გამოშვებული სიცილი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეს მივაწვდინო, ცოტაც კოსმონავტებს გავატანო სხვა პლანეტებზე დასათესად.

აკაკი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ აღარ დასცალდა, შინაურებმა ჟურნალისტების ტალღა ვეღარ შეაჩერეს. ისინი ოთახში შემოცვივდნენ და ატყდა ფოტოაპარატების ჩხაკუნი და ბლოკნოტების ფურცლების შრიალი.

## უცხოური იუმორი

### ცვლილება

— ღმერთო ჩემო, როგორ შეცვლილხართ! ერთ დროს თქვენ ლაულაუა ლოყები გქონდათ... ახლა ფერი დაგკარგვიათ, გაცრეცილხართ, ტანადი იყავით! ახლა დაპატარავებულხართ, ღმერთო ჩემო, მისტერ გორდონ, რამ შეგცვალათ ასე?.

— გეთაყვა. მე რომ მისტერ გორდონი არა ვარ?

— აჰა, თქვენ სახელიც გამოიცვალეთ?

### მაღაზიაში

— ეს მანქანა ნახევარ თქვენს საოჯახო სამუშაოს შეასრულებს, ქალბატონო!

— კეთილი, მაშინ მე ორ ცალს ვიყიდი.

### სიცხე

ჩემპიონს უთხრეს, რომ მას მაღალი სიცხე აქვს და დღეს მისი გამოსვლა შეუძლებელია.

— რამდენი მაქვს, ბატონო ექიმო?

— ორმოცდაერთი! — უპასუხა ექიმმა.

— რამდენია მსოფლიო რეკორდი? — იკითხა ჩემპიონმა.

### ვაშლის ქურდი

— რას აკეთებ, ბიჭო, მაგ ხეზე? შენ გგონია უპატრონოა?

— მაპატიეთ, სერ, თქვენი ხიდან ქარმა ერთი ვაშლი ჩამოაგდო და ვცდილობ უკან მივამაგრო.

ინგლისურიდან თარგმნა

მარიკა სეფიაშვილმა.

წყნეთი.. გორკის ქუჩა, № 24. აგურის ერთსართულიანი პატარა სახლი, შემოღობილი ხის უბრალო მესერით. სახლის წინა ფასადი მოხატულია; აქ ცხოვრობს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

თბილისშიც და აქაც ლადოს ხშირი სტუმრები არიან როგორც უცხოელი, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ტურისტები. მუდამ გულიად ხვდება მათ დიდი ქართველი მხატვარი. ალბათ, ამიტომ დაურქმევია მას სახლის ფასადზე დახატული სურათისათვის „მასპინძლობა".

დიდ ხელოვანს ხანდაზმულობა არ ეტყობა და ახალგაზრდული ენერგიით ეძლევა საყვარელ საქმეს.

ლადო გუდიაშვილი გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენისათვის ამზადებს ორ სურათს პოეტისავე სიუჟეტებზე. ეს სურათებია „მერი" და „ლურჯა ცხენები".



ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ლურჯა ცხენები"

ფოტო ა. გოგოლაძისა.







# ქირურგია და ადამიანის გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების ისტორიაში ნაკლებად გაცნობიერებულ კაცს შეიძლება ეგონოს, რომ თანამედროვე მედიცინამ აღმოჩენებით დამშვენებული ტრიუმფალური გზა გამოიარა და ასე მოაღწია ჩვენს დრომდე.

მაგრამ ეს ასე არ არის. მედიცინამ ფრიად რთული, წინააღმდეგობით აღსავსე ძნელი გზა გაიარა, ვიდრე თავის დღევანდელ მაღალ დონეს მიაღწევდა. ეს ითქმის როგორც საერთოდ ბიოლოგიური მეცნიერების, ისე, კერძოდ, კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე.

როდესაც ქირურგიის მიღწევებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ჩვეულებრივ, XX საუკუნის „საოცრებაზე" — გულის გადანერგვასა და მისი მძიმე დაავადებების ოპერაციულ მკურნალობაზე წარიმართება ხოლმე საუბარი. ეს თემა არ არის მხოლოდ ვიწრო სპეციალისტებისათვის საინტერესო და სადისკუსიო. ეს ფრიად მტკივნეული, დამაფიქრებელი და აქტუალური პრობლემაა კაცობრიობისათვის საერთოდ, და კერძოდ, ცივილიზებული ქვეყნებისათვის, ვინაიდან სწორედ ამ ქვეყნების მოსახლეობაშია უფრო გავრცელებული გულის სერიოზული დაავადებები — სტენოკარდია, იშემიური დაავადება და მიოკარდიუმის ინფარქტი. ამ დაავადებათა სიხშირემ ისეთი საშიში, კოლოსალური მასშტაბი მიიღო, რომ კიბომ, რომელიც ერთი-ორი ათეული წლის წინათ კაცობრიობისათვის პირველ პრობლემად ითვლებოდა, მათ დაუთმო ადგილი.

კაცი რომ დაუკვირდეს, მართლაც საოცარია და ფრიად საინტერესო ჩვენი საუკუნე: ერთი მხრივ, მოწმენი ვართ მოსახლეობაში ზოგიერთი მძიმე დაავადების დიდი სიხშირით გავრცელებისა, ხოლო მეორე მხრივ, მედიკოსმკვლევართა მთელი არმიის ორგანიზებული, კოორდინირებული, ტიტანური შრომისა, რომლის შედეგია მკურნალობის არნახული წარმატებები.

ქირურგიის წარმატებები, რომელთა შესახებაც საუბარი გვაქვს, მართლაც რომ ჩვენი საუკუნის საოცრებად შეიძლება ჩავთვალოთ, ვინაიდან ადამიანის საუკუნეობრივი ოცნების სინამდვილედ გადაქცევას ხომ საოცრება უნდა ეწოდოს და სხვა არაფერი! მაგრამ მეცნიერებისათვის საოცრება არ არსებობს. ყველაფერს — თვალსაჩინოს და დიდს, თავისი ლოგიკური დასაბუთება და თანმიმდევრობა აქვს და შედეგიც კანონზომიერია. მედიცინის დარგში მიღწეული წარმატებები განიხილება, როგორც ბუნებისმეტყველების დარგში მომუშავე მკვლევართა მრავალი თაობის ყველაზე მიზანსწრაფულ. ყველაზე შეუპოვარ, მოკლედ, ყველაზე გამოჩენილ პირთა ღვაწლის ნაყოფი. რომ არ ყოფილიყო ამ პლეადის ადამიანთა შემოქმედებითი აზრი, ხანგრძლივი, თავდადებული და მკლავმოუღლელი შრომა, მაშინ, რასაკვირველია ჩვენ არ ვიქნებოდით თანამედროვე კლინიკური მედიცინის, კერძოდ, ქირურგიის დიდი წარმატებების მოწმე და მონაწილე.

სულ ახლახანს მუშაობა დაამთავრა კარდიოლოგთა მეორე საკავშირო ყრილობამ. ამ ფორუმზე მოწვეული იყვნენ გამოჩენილი უცხოელი სპეციალისტებიც. მკვლევარებმა განიხილეს გულის დაავადებათა კონსერვატული და ოპერაციული მკურნალობის შედეგები. გამოირკვა, რომ გულის მკვებავი სისხლის მილების ზოგიერთი დაავადების მკურნალობა უფრო ეფექტურია მაშინ, როდესაც მიმართავენ რეკონსტრუქციულ ოპერაციას. ასეთი ქირურგიული მკურნალობა წარმოუდგენილი იყო სამი ათეული წლის წინ. არარეალურად წარმოგვიდგებოდა არა მარტო ასეთი სახის რთული ოპერაციული ჩარევა, რომელსაც იუველირის ნატიფი ხელოვნებაც კი არ შეიძლება შეედაროს, არამედ გულის კუნთის მკვებავი სისხლის მილების რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკაც.

აბა, აუღელვებლად წარმოიდგინეთ ადამიანის კიდურის ზედაპირული ვენიდან წვრილი, გრძელი ზონდის შეყვანის პროცესი ცოცხალი, მფეთქავი, მაგრამ დაავადებული გულის რომელიმე კამერაში!

ეს სტრიქონები ფართო მკითხველისათვის არის განკუთვნილი და ჩვენ თავს უფლებას მივცემთ, რომ ვთხოვოთ მას ამ სიტუაციაში, უბრალოდ შედარებისათვის წარმოიდგინოს მისთვის ახლობელი ადამიანი. რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რომ მღელვარება და განცდა მას მეტი ექნება ამ სერიოზული პროცედურის კეთილად დამთავრების მოლოდინში, მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც უმნიშვნელოვანესია, რომ არა მედიკოსი მკითხველი ადვილად მიხვდება და შეიცნობს თანამედროვე მედიცინის ამ შესანიშნავი გამარჯვების მნიშვნელობას, სარგებლობას და სიდიადეს.

მართლაც, როგორ დიდ პროგრესს მიაღწია მედიცინამ, რომ გული, რომელიც ყველა დროის რომანტიკული გატაცებისა და პოეტური ლტოლვის საგანი იყო, ყველაზე სათუთი. ნაზი ხელშეუხებელი რამ, ქირურგის ხელში ამჟამად „ჩვეულებრივი", ყოველდღიური მკურნალობის ობიექტად იქცა.

გულის ქირურგია არა მხოლოდ ყოველწლიურად, არამედ ყოველთვიურად იზრდება და ვითარდება. უკანასკნელ წლებში კარდიოქირურგიამ თავისი კარგი კლინიკური შედეგებით დიდი გამოცდილება შეიძინა გულის დაავადებული მკვებავი სისხლის მილების შეცვლის, აღდგენის, რეკონსტრუქციის წარმოებისათვის. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში კი, როგორც ჩვენი, ისე უცხოელი კარდიოქირურგების ცნობით, გულის კორონალური უკმარობის, ინფარქტისშემდგომი ანევრიზმისა და სხვა მძიმე სნეულებათა მკურნალობაში მიღებულია გაცილებით უკეთესი შედეგები.

ბრწყინვალე პერსპექტივებია დასახული კარდიოქირურგიის წინაშე, იმედისმომცემია გულით დაავადებული მრავალი ადამიანისათვის თანამედროვე და მომავალი კომბინირებული მკურნალობის კიდევ უფრო სრულყოფილი მეთოდები.

გულის გადანერგვამ, როგორც ქირურგიულმა ოპარაციამ, გაიარა თავისი ე. წ. გატაცების, სენსაციის სტადია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა კეიპტაუნელი ქირურგის, პროფესორ ქრისტიან ბერნარდის პირველმა ოპერაციებმა ქვეყანა შესძრა. როცა პირველი გულგადანერგილი ადამიანის — ვაშკანსკის ჯანმრთელობის ყოველდღიურ ბიულეტენს მსოფლიოს ყველა ადამიანი დაუფარავი მღელვარებით ეცნობოდა, სერიოზული, დაკვირვებული მეცნიერებისათვის მაშინაც კი ნათელი იყო, რომ ეს იყო ტრანსპლანტაციის პირველი ნაბიჯები და რომ გულის გადანერგვის პრობლემის გადაჭრის გზაზე მედიცინას ჯერ კიდევ მრავალი დიდი დაბრკოლება მოელოდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ გადანერგილი ორგანოს ბიოლოგიური შეუთავსებლობის პრობლემა, რომელიც წარმოუდგენლად რთულია და უძნელესი.

რაც შეეხება გულის გადანერგვის ტექნიკას, ის უკვე დიდი ხანია, რაც პრობლემას არ წარმოადგენს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა მკვლევარებმა შექმნეს გულის ექსპერიმენტული ტრანსპლანტაციის სხვადასხვა მოდელები. ამ თვალსაზრისით ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქრ. ბერნარდი, რომელმაც პრაქტიკული დასაბამი მისცა ადამიანის გულის გადანერგვას, წინასწარ, სპეციალურად ჩამოვიდა მოსკოვში და მუშაობდა ცნობილ ექსპერიმენტატორ ვ. დემიხოვთან, რომელთანაც შეისწავლა და დაამუშავა გულის გადანერგვის ექსპერიმენტული მეთოდები.

სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი არსებობს გულის გადანერგვის საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა შორის შეიძლება გამოიკვეთოს ორი ძირითადი მიმართულება: პირველი — ბიოლოგიური, დონორის გულის გადანერგვა და მეორე — მექანიკური გულის შექმნა.

ორივე მიმართულებას დიდი სიძნელეები ელობება წინ: ზოგ შემთხვევაში საერთო ბიოლოგიური, ზოგჯერ კი — ტექნიკური ხასიათისა. უდავოა, რომ მექანიკური გულის შექმნა უფრო პერსპექტიულია და საერთოდ იმედის მომცემი, ვიდრე ბიოლოგიური გულის გადანერგვა. თუ რომელი მიმართულება უფრო წავა წინ, ამას არც თუ ისე შორეული მომავალი დაგვანახვებს. ამის საწინდარია ინტენსიური მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

გულის რიტმის დარღვევა, რომელიც მძიმე და საშინელ შეგრძნებას იწვევს და ადამიანს ხშირად აუტანელ მდგომარეობაში აყენებს, უკანასკნელ დროს წარმატებით იკურნება ე. წ. ელექტროსტიმულაციის მეთოდით. აქტიური თერაპიის აღნიშნული წესი კი ქირურგიის უდავოდ დიდი მიღწევაა, რამაც ათასობით მძიმე დაავადებულს აღუდგინა შრომის უნარი, დაუბრუნა ცხოვრების ხალისი და გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

ამჟამად ქირურგები წარმატებით მკურნალობენ გულის შეძენილ მანკებს. ამ სნეულებით შეპყრობილები სულ ახლო წარსულში მხოლოდ მედიკამენტური თერაპიის იმედით ცოცხლობდნენ.

უდიდესი ისტორიული და ჰუმანური მისია იკისრა ქირურგიამ, როდესაც მან წარმატებით მოჰკიდა ხელი ჩვილი ბავშვების გულის თანდაყოლილი მანკების ოპერაციულ მკურნალობას. ეს დიდი და სრულიად ახალი სიტყვაა კლი-

ნიკური მედიცინის ისტორიაში და აქ ქირურგია ჭეშმარიტად ერთადერთი მხსნელის როლში აღმოჩნდა განწირული ჩვილი ბავშვების გარდუვალი დაღუპვისაგან გადარჩენის თვალსაზრისით.

თუ გულის ტრანსპლანტაცია ასეთი დიდი აღფრთოვანებით და მღელვარებით მიიღო ხალხმა, გაცილებით უფრო რთული, ბიოლოგიური და კერძოდ, ქირურგიული პრობლემა აღმოჩნდა სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანესი ორგანოების — ღვიძლის, თირკმელების, ფილტვების, პანკრეასის და სხვათა გადანერგვა.

ვისაც სურს გაერკვეს საერთოდ ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციის პრობლემაში, მან უნდა გაარჩიოს ე. წ. იმუნოლოგიური, პათოფიზიოლოგიური, ბიოქიმიური და ქირურგიული მხარეები. რა თქმა უნდა, ამ პრობლემას სოციოლოგიური და იურიდიული ასპექტებიც გააჩნია, რომლებიც მეტად დიდ სიძნელეებს ქმნიან ტრანსპლანტაციის განვითარების გზაზე.

მოსახლეობის ფართო ფენებს უფრო კარგად ესმით გულის სასიცოცხლო მნიშვნელობა, ვიდრე ღვიძლის როლი ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თვალსაზრისით. ამავე დროს, ხშირად გვხვდება ღვიძლის ისეთი მძიმე დაავადებები (ციბო, ციროზი და სხვ.), რომელთა მკურნალობა დღემდე არსებული, ცნობილი მეთოდებით არ არის ეფექტური. ქირურგიამ აქაც გადადგა გაბედული, ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი, როდესაც დაიწყო ადამიანის ღვიძლის გადანერგვა. ეს მკურნალობის ფრიად პერსპექტიული მეთოდია და იმედია, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის შედეგი არც თუ შორეულ მომავალში სასურველ დონეზე იქნება. ამჟამად კი, ჭერჭერობით ღვიძლის გადანერგვის ასეული შემთხვევის გამოცდილებით აღჭურვილი სპეციალისტები გაცხოველებულ კომპლექსურ მუშაობას ეწევიან მსოფლიოს ყველა ჰეპატოლოგიურ ცენტრში ამ ორგანოს ტრანსპლანტაციის ექსპერიმენტული კვლევისა და კლინიკაში მისი ფართოდ დანერგვის მიზნით.

ქირურგიის შემდგომი განვითარება ძალიან ბევრს გვპირდება ფილტვების, პანკრეასის, კიდურების და სხვა ორგანოების ტრანსპლანტაციის სფეროში, სადაც უკვე მიღებულია იმედისმომცემი შედეგები.

თითქმის ათი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც თირკმელების წარმატებითი გადანერგვის მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ადრე განწირულმა მრავალმა ათასმა ადამიანმა იგრძნო მისი კეთილისმყოფელი გავლენა.

ქირურგიის ახალმა დარგმა — ანგიოლოგიამ უდიდესი წვლილი შეიტანა სისხლის მილების თანდაყოლილი თუ შეძენილი დაავადებების მკურნალობაში. სისხლის მილების პროთეზირების ბრწყინვალე შედეგების შესახებ უკვე დიდი ხანია, რაც კარგად არის ინფორმირებული მსოფლიოს საზოგადოებრიობა. ამ მხრივ ქირურგიის გამოცდილება კოლოსალურია და მომავალში მკურნალობის კიდევ უფრო უკეთესი შედეგებია მოსალოდნელი.

ექსტრაკორპორალური ანუ ხელოვნური სისხლის მიმოქცევა, რომლის იდეა და პირველი მოდელის შექმნა საბჭოთა მეცნიერის ბრიუხონენკოს სახელთან არის დაკავშირებული, უკანასკნელი პერიოდის ქირურგიის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ეს ურთულესი მოწყობილობის აპარატი „ფილტვი-გული“ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქირურგმა გაჩერებულ, ე. წ. მშრალ გულზე აწარმოოს ოპერაციული ჩარევა, რომელიც მოიცავს ქირურგიული რეკონსტრუქციის რთულ პროგრამას — მაგისტრალური სისხლის მილების პლასტიკითა და სარქველების მანკის კორექციით დაწყებული და მისი პროთეზირებით დამთავრებული.

ექსტრაკორპორალური სისხლის მიმოქცევის გამოყენებაში კიდევ უფრო საინტერესო პერსპექტივებია დასახული.

გამოყენების თვალსაზრისით ხელოვნურ სისხლის მიმოქცევასთან ახლოს შეიძლება დავაყენოთ ადამიანის სხეულის გაცივების მეთოდი. სხეულის გაცივების ანუ ჰიპოთერმიის გამოყენებამ ქირურგებს საშუალება მისცა ეფექტურად ჩაატარონ ოპერაციები გულის სხვადასხვა შეძენილი თუ თანდაყოლილი მანკების დროს. ჰიპოთერმიის მეთოდი უნდა განვიხილოთ, როგორც მედიცინის დიდი წარმატება, რომელიც მომავალში კიდევ უფრო საგრძნობ სამსახურს გაუწევს ქირურგიას არამარტო გულისა და სისხლის მილების უმძიმესი დაავადებების მკურნალობის დროს.

ასეთი მოკლე მიმოხილვითაც კი ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი სარგებლობა და, მაშასადამე, ბედნიერება მოუტანა კაცობრიობას ჩვენი დროის ქირურგიამ.


**ეგნატე ფიფია,**
აკადემიკოსი.

**გივი გაგისონია,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.


# დამატება

## აფორიზმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი მკაცრი უნდა იყოს, ხოლო ადამიანები შემწყნარებელნი. **ვოვენარგი.**

თემიდას მახვილი რომ არ ეჭიროს, თავს თავში დაუმსხვრევდნენ. **ბიორნე.**

გაბოროტებულ მოწმეს არ უნდა დაუჯერო. **ციცერონი.**

მიზანთან მისვლა თუ გინდა, სიარულიც უნდა შეგეძლოს. **ბალზაკი.**

დაუფიქრებლად ლაპარაკი იგივეა, რაც დაუმიზნებლად სროლა. **სერვანტესი.**

აფორიზმი ჰგავს ვექილს, რომელიც ხედავს საქმის მხოლოდ ერთ მხარეს. **ბერჯესი.**

აფორიზმი ფუტკარსა ჰგავს, თაფლიც მოაქვს, მაგრამ შხამიანი ისარიც აქვს. **კარმენ სილვა.**

აფორიზმი ის ხილია, რომელიც აუცილებლად ცხოვრების ხიდან უნდა იყოს მოწყვეტილი. **ნიზარი.**

სიტყვა — პოეტის ხმალია. **გოეთე.**

სიტყვა უფრო ადვილად დასჭრის ხოლმე, ვიდრე მოარჩენს. **გოეთე.**

როგორ სიტყვასაც ბრძანებ, პასუხსაც ისეთს მიიღებ. **ჰომეროსი.**

ყოველგვარი სიტყვა საქმის გარეშე არარაობა და სიცარიელეა. **დემოსთენი.**

ჩვენს სიტყვებს აქვთ ფრთები, მაგრამ ხშირად იქით არ მიფრინავენ, საითაც ჩვენ გვინდა. **ჯორჯ ელიოტი.**

რამდენიც უნდა ილაპარაკონ მისნებმა და წინასწარმეტყველებმა, წელიწადი მაინც დეკემბრის ბოლოს გათავდება. **ლოპე დე ვეგა.**

განსხვავება „ზუსტ გამოთქმასა“ და „თითქმის ზუსტ გამოთქმას“ შორის ისეთივეა, როგორც განსხვავება ჩირაღდანსა და ციცინათელას შორის. **მარკ ტვენი.**

ლექსიკონი — ეს მთელი სამყაროა, დალაგებული ანბანის მიხედვით. **ანატოლ ფრანსი.**

ვინც სხვისი ენა არ იცის, მას არც თავის ენაზე აქვს ნათელი წარმოდგენა. **გოეთე.**

გრამატიკა მეფესაც კი არ ემორჩილება. **მოლიერი.**

დაე, ენა წინ ნურასოდეს გაუსწრებს აზრს. **ხილონი.**

ენა — ესაა უზარმაზარი ქალაქი, რომლის ასაგებად ყველა ადამიანს თითო ქვა აქვს მიტანილი. **ემერსონი.**

ერთსაათიანი საუბარი ორმოცდაათ გრძელ წერილსა სჯობია. **სევინიე.**

ზომაზე მეტად ლამაზი და გადაპრანჭული სიტყვა უნდობლობას იწვევს. **ფენელონი.**

ვინც არ ჰკიცხავს ცილისმწამებელს, ის აქეზებს მას. **სვეტონიუსი.**

ქინძისთავით ჩხვლეტა უფრო ძნელი მოსაგერიებელია, ვიდრე შემართული ხმალი. **ბიორნე.**

ანონიმური ბილწსიტყვაობა უფრო მეტად სამარცხვინოა, ვიდრე ჩვეულებრივი ცილისწამება. **ჰიუგო.**

დრო — დიდებული მასწავლებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ჰკლავს თავის მოსწავლეებს. **ბერლიოზი.**

არწივი არასოდეს არა ჰკარგავს იმდენ დროს, ვიდრე მაშინ, როცა ის ფრენას ასწავლის ყვავს. **ბლეიკი.**

შეარჩიო დრო, ეს ნიშნავს გაუფრთხილდე დროს. **ბეკონი.**

დრო ჰკურნავს ყველა ჭრილობას. **მენანდრე.**

მხოლოდ დრო არ ჰკარგავს დროს. **რენარი.**

გაუფრთხილდით დროს, ეს ის ძაფია, რომლითაც მოქსოვილია სიცოცხლე. **რიჩარდსონი.**

საქმის გადადება — ეს ნიშნავს გაქურდო დრო. **იუნგი.**

სიცოცხლე — ესაა ერთიმეორეში არეული თაფლი და სიმწარე. **აპულეი.**

ყველაზე ძნელია იცხოვრო სადად და უბრალოდ. **ბერნანკური.**

ჭეშმარიტება, თავისუფლება და სათნოება — აი ის, რისთვისაც ღირს გიყვარდეს სიცოცხლე. **ვოლტერი.**

ცხოვრობდე, ეს ნიშნავს არკვევდე რაღაცას. **კამიუ.**

კარგად დაწერილი ბიოგრაფიები ისევე იშვიათია, როგორც კარგად განვლილი ცხოვრება. **კარლეილი.**

ვინც სიცოცხლეს არ აფასებს, ის არც არის მისი ღირსი. **ლეონარდო და ვინჩი.**

მოდი შევეცადოთ და ვიცხოვროთ ისე, რომ სიკვდილის ჟამს მეკუბოვესაც კი შევეცოდოთ. **მარკ ტვენი.**

ცხოვრება არ არის არც სანახაობა და არც დღესასწაული. იგი მძიმე სამუშაოა. **სანტაიანა.**

უნდა სჭამო იმისათვის, რომ იცოცხლო, და არა იცოცხლო იმისათვის, რომ სჭამო. **სოკრატი.**



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სპორტული კლუბი „დროშა“

გივი გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეტევაზეა პატარა მაია

თქმა არ უნდა, 12 წლის მაია ჩიბურდანიძეს შეუძლია ჭადრაკის გულშემატკივრებს არაერთი დიდი სიხარული მოუტანოს. სპორტული საზოგადოებრიობა მას ფაქტიურად წლეულს გაეცნო, სპეციალისტებმა რამდენადმე ადრე შეამჩნიეს. შეამჩნიეს და, პირდაპირ ვიტყვით, განცვიფრდნენ.

ქუთაისში, პიონერთა სახლის ჩინებულ მწვრთნელ დავით ჩირაძესთან მრავალი ბავშვი მოჰყავთ. მათი უმეტესობა, როგორც წესი, გოგონაა და ეს გასაგებიც არის. ნონა გაფრინდაშვილის მრავალგზისმა ტრიუმფმა ჭადრაკის განვითარებას საქართველოში დიდი სტიმული მისცა. ახლა არაერთი გოგონა ოცნებობს „გახდეს ნონა“. მშობლები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ჭადრაკის მწვრთნელებს; ზედიზედ დაწინაურდნენ ახალი ტალანტები, ნანა ალექსანდრია ოფიციალურად ითვლება „№ 3 მოჭადრაკე ქალად მსოფლიოში“ და აპირებს გახდეს მეორე. მოსკოვის საჭადრაკო გამოცემა „64“ ამასწინათ წერდა: „საქართველოში ყველა გოგონა თითქმის მოჭადრაკედ იბადება“.

და აი ერთ მშვენიერ დღეს დავით ჩირაძეს 8 წლის გოგონა მიუყვანეს. ამაში არაფერი ყოფილა გასაოცარი. ხოსე რაულ კაპაბლანკამ სვლები ოთხი წლისამ ისწავლა. ნონა გაფრინდაშვილმა — ხუთისამ, ექვსი წლის სემუელ რეშევსკი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდა და ერთდროული თამაშის სეანსებს მართავდა. რაკილა იგი ძალიან პატარა იყო და ჭადრაკის მაგიდებს ვერ სწვდებოდა, სპეციალურ დანადგარზე სვამდნენ.

ერთი სიტყვით, ჭადრაკის კაბინეტში „ვუნდერკინდი“ კი არა, ჩვეულებრივი გოგონა მივიდა. არაჩვეულებრივი სხვა რამ იყო — ფანატიკური სიყვარული, თუ გნებავთ ჭადრაკის გაღმერთება. თუ სხვა გოგონები არ სცილდებოდნენ თოჯინებს, მაია ჩიბურდანიძეს ჭადრაკს ვერ მოაშორებდით. ერთი წლის მანძილზე იგი პირველთანრიგოსანი გახდა. ეს მეტად დიდი მიღწევა გახლავთ. სხვა რომ არა იყოს რა, ამას სჭირდებოდა 4 საკვალიფიკაციო ტურნირში თამაში და არა მარტო მონაწილეობა, არამედ გამარჯვებაც. დიდმა ნიჭმა, მწვრთნელების — დავით ჩირაძისა და გიორგი ქანთარიას ცოდნამ, მონდომებამ და პედაგოგიურმა ალღომ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი — არც საქართველოში და არც სხვაგან ჯერ არ ყოფილა ესოდენ ნორჩი პირველთანრიგოსანი.

მაიამ დაიწყო ის გზა, რომელიც მანამდე მრავალმა გამოჩენილმა, თუ ნაკლებად ცნობილმა მოჭადრაკემ გაიარა. მოსწავლეთა რესპუბლიკური და საკავშირო ტურნირები, შეჯიბრებები საქართველოს ქალაქებს შორის, საქართველოს ქალთა პირველობები... ქუთაისელი გოგონა იკრებდა ძალას, აკვირდებოდა თავისი მრავალნაცადი მეტოქეების თამაშს.

ჭადრაკის თამაში სულ სხვადასხვანაირად შეიძლება. ამბობენ იგი ადამიანის ხასიათს ასახავსო. ზოგი ვერ იოკებს თავის ტემპერამენტს, სწრაფად ფიქრობს, შეტევას უკანასკნელ პაიკსაც ანაცვალებს. ასეთი მოჭადრაკეების სტიქია იერიშია. შემტევ მოჭადრაკეებს თავიანთი კერპიც ჰყავთ — ტალი. ახალგაზრდები ცდილობენ სწორედ ტალს მიბაძონ, აღტაცებულნი არიან მისი წარმატებებით, ძალიან განიცდიან, როდესაც „რიგელი ჯადოქარი“ მარცხიანად თამაშობს. მეორე მიმართულების მოჭადრაკეები უარყოფენ პრინციპს „კეისარი ან არაფერი!“, რომელიც კომბინაციური სკოლის მოთამაშეთა დევიზია. მათი ფიგურები ნელა ებმებიან ბრძოლაში, ხანგრძლივი საარტილერიო მომზადების შემდეგ. როდესაც ასეთი მოჭადრაკე უკან იხევს, მას სათანადო პოზიცია უკვე წინასწარ აქვს მომზადებული. ასეთი ყაიდის მოთამაშეებსაც ჰყავთ თავიანთი კერპი — ბოტვინიკი.

პატარა მაია თითქოს შეტევისათვის იყო დაბადებული. მეტოქეებისათვის მეტად ძნელი იყო მის თამაშთან შეგუება. მაია ყოველთვის უფრო შორს ხედავდა, ვიდრე მისი თანატოლები. მდიდარი ინტუიცია მას იერიშის სწორად წარმართვის საშუალებას აძლევდა. თამამი თამაში, დიდებული კომბინაციური ხედვა, მიდრეკილება შეწირვისაკენ — აი, რა შეამჩნიეს გამოცდილმა სპეციალისტებმა. საჭირო იყო გოგონას კომბინაციური ნიჭის შემდგომი განვითარება, დებიუტების დაუფლება, ერთი სიტყვით, შეუპოვარი ყოველდღიური მუშაობა.

1972 წლის სექტემბრიდან მაია დედის თანხლებით თბილისში გადმოვიდა სასწავლებლად, პირველი სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე გახდა. ამ სკოლას მრავალი შესანიშნავი მოღვაწე აღუზრდია საქართველოსათვის. თუ ყველაფერი რიგზე იქნა, შემდეგში პირველი სკოლის აღზრდილებს შესანიშნავი მოჭადრაკეც შეემატება.

წლეულს იანვარში კიშინიოვში მოსწავლეთა საკავშირო პირველობა გაიმართა. მაია თავიდანვე დაწინაურდა და თითქოს პირველი ადგილიც გარანტირებული ჰქონდა. ბოლო პარტიების მარცხიანად ჩატარების შემდეგ მას საბოლოო ანგარიშით მესამე ადგილი დარჩა. რა მოხდა? დიდი არაფერი. უბრალოდ, მაიას ნიჭს მისი უფრო გამოცდილი მეტოქეების ცოდნამ გადასძალა, როგორც მაიას მწვრთნელმა იური ჩიქოვანმა თქვა, თავისი ასაკის გამო გოგონამ ჯერ კიდევ არ იცის ბევრი რამ, თუმცა ყოველდღიურად მუშაობს თეორიის საიდუმლოებათა დასაუფლებლად. ცხადია, მას დრო სჭირდება.

იმავე იანვარში ერთი საინტერესო პარტიის მოწმენი გავხდით — ხალხით გაჭედილ თბილისის საჭადრაკო კლუბში მაია შავებით ეთამაშებოდა განთქმულ საერთაშორისო ოსტატ ტატიანა ზატულოვსკაიას (მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ პირადგუნდური საკავშირო პირველობა). ზატულოვსკაიას, თუ დღეისათვის პოპულარულ „პროფ. ელოს კოეფიციენტების ცხრილს“ მოვიშველიებთ, თანამედროვე ჭადრაკში მხოლოდ სამი ოსტატი უსწრებს: გაფრინდაშვილი,



მაია ჩიბურდანიძე.

მაია ჩიბურდანიძე სკოლის ეზოში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გალმა შემდავება

ფელეტონი.

იმ ხანებში ერთი საკმაოდ მსხვილი ტრესტის საქმეთა მმართველად ვმუშაობდი. მართალი გითხრათ, ძალზე რთული სამუშაო იყო.

სამსახურში რომ მივდიოდი, ტრესტის მთავარ შესასვლელთან მუდამ მხვდებოდა ერთი შესანიშნავად გამოწყობილი, ზორბა ტანის კაცი. ნესვივით მოგრძო თავის ქალა ჰქონდა. ხან ჩაფიქრებული იდგა, ხან მიმოდიოდა. გეგონებოდათ, ვიღაცას უცდისო, მალიმალ საათზე დაიხედევდა, თავს გადაიქნევდა, ყველაფრით საქმიანსა და დიდად მოუცლელ კაცს ჰგავდა.

ისე შევაჩვიე თვალი, რომ ერთ დილით უნებურად სალამიც მივეცი. გაუხარდა, ეს ზორბა კაცი წელში ოთხად მოიხარა, ღიმილში ლამის დადნა, შემაჩერა და ამ შეჩერებისათვის ათასი ბოდიში მომიხადა, და მერე მკითხა ამ ტრესტში რა თანამდებობა გიჭირავთო.

— მე გარდერობს ვხელმძღვანელობ-მეთქი, — ვუპასუხე.

მოიღუშა ეტყობოდა, იცოდა რა პოსტიც მეჭირა. უცებ გამცილდა, მეორე დღეს აღარ მოსულა, მესამე დღეს კი ისევ იქ დავინახე, მომიახლოვდა, მომესალმა და მითხრა: — დიდი ბოდიში უნდა მოვიხადო, გუშინ ქუჩაში მიმავალი უცებ ვერ დაგინახეთ და ვერ მოგესალმეთო.

მე ვუთხარი, რომ საბოდიშო არაფერია, მეც ვერ დაგინახეთ-მეთქი. არაო, სალამი არ უნდა დავამადლოთ ერთიმეორეს, ხელი უნდა გავუწოდოთ, მხარი მხარს უნდა მივცეთო.

იმ ხანებში შვებულებაში მომიხდა წასვლა; როცა დავბრუნდი, სპირიდონი (ასე ერქვა იმ კაცს) ჩვენი გარაჟის უფროსად დამხვდა. არ ვიცი რა გზით შეაღწია იქ. განვაახლე ჩვენი ძველი ნაცნობობა; მაგრამ ვატყობ, განზე უჭირავს თავი. ვერ უპატიებია ჩემთვის გარდერობის ამბავი. ეჭვით შემომცქერის. ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ მის კაბინეტში მუდამ ვიღაც საეჭვო ხალხი ირევა, უკვე ლაპარაკობენ, რომ ტვირთის გადაზიდვაში მაქინაციები ხდება, ეწყობა რაღაც უცნაური და შორეული რეისები, და გარდა ამისა, ირკვევა, თურმე ჩვენი გარაჟი იმდენად დამაგნიტებული ყოფილა, ფულები თვითონ მოფრინავენ აქეთ.

ერთხელ გადავწყვიტე ამ მითქმა-მოთქმისა და ხმების შემოწმება. დოკუმენტები, საბუთები ისე ზუსტად ჰქონდა გაფორმებული, მადლობის მეტს ვერაფერს ეტყოდი. სპირიდონს ირონიულად ეღიმებოდა, და როცა შემოწმება დავამთავრეთ, მითხრა:

— ისეთი წესრიგი მაქვს, როგორც გარდერობში.

ეს მე გადმომკრა.

გარაჟში ახალი ამბები არ ილეოდა. ძველი შოფრები, წლების მანძილზე რომ მუშაობდნენ აქ, ზოგი თავისი ნებით წავიდა, ზოგსაც შარი მოსდო და დაითხოვა, ახლები მოიყვანა; იმ ხანებში ჩემთან ერთი ძველი ნაცნობი შოფერი მოვიდა, უნდოდა ჩვენს ტრესტში დაეწყო მუშაობა.

სპირიდონმა, რამდენჯერაც მივმართე, უარი მითხრა, გაჯიუტდა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მას ეგონა „ჩემი კაცის" შეგზავნა მინდოდა მის სამფლობელოში. მე კი სხვა რამ მაინტერესებდა. ვახტანგი კარგი, გამოცდილი, პატიოსანი კაცი იყო და ამიტომ მინდოდა მისი მიღება.

სპირიდონმა თავისი გაიტანა, და თანაც, შეტევაზეც გადმოვიდა. იხელთა დრო და ადგილკომის საგადარჩევნო კრებაზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა:

— ჩვენს შორის არიან ადამიანები (ამ დროს მე გადმომხედა), რომლებსაც დაწესებულება თავიანთი სახლი ჰგონიათ. შინ ვინც გინდა მიიპატიჟე, ვე კაცო (ისევ გადმომხედა), გაუშალე სუფრა, ოღონდ სახელმწიფო კაპიკს გაუფრთხილდი, — მერე სივრცეში გაიხედა და თითის ქნევით თქვა, — ხელი, რომელიც გაწვდილია სახელმწიფო თანხის გასატაცებლად, უნდა მოიკვეთოს... მე ჯერ აქ გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ გაფრთხილდნენ... დიახ, ტრესტი თავიანთი მამული ნუ ჰგონიათ. წააგებენ... (და ისევ მე გადმომხედა).

...სადღაც, გზაზე, თბილისსა და ბოლნისს შუა ჩაუწყდა ბეწვის ხიდი სპირიდონს. ჩვენ მანქანას ყველი მიჰქონდა, რომელსაც „პატრონი ვერ აღმოუჩინეს", ყველამ უარი თქვა — ჩვენი არ არისო. მიჰყვნენ. მიჰყვნენ, და სპირიდონი ორივე ფეხით გაება.

ასე დამთავრდა გალმა შემდავებლის ამბავი.

პ. აროშიძე

---

კუშნირი და ალექსანდრია. იგი სიამაყით ატარებს „ბაქოს ციხე-სიმაგრის" მეტსახელს, თუმცა რამდენიმე წელია ამ ქალაქს გამოეთხოვა და მოსკოვში ცხოვრობს. არავინ დარჩა დღევანდელ საჭადრაკო სამყაროში წამყვან ოსტატთაგან, ზატულოვსკაიას ერთხელ მაინც რომ არ დაემარცხებინოს. და აი ამ სახელოვანმა მოჭადრაკემ ვერაფერი დააკლო მაიას. მართალია, გოგონამ დასაწყისში პაიკი დაჰკარგა, მაგრამ, თითქოს აქ არაფერიაო, ისე განაგრძობდა ბრძოლას. ზატულოვსკაიას მეუღლემ, სპორტულმა ჟურნალისტმა ვალერი ვინოკუროვმა. რომელიც ფეხბურთში გაცილებით უკეთ ერკვევა, ვიდრე ჭადრაკის საიდუმლოებებში, იკითხა „როგორ არის საქმე?" მას უპასუხეს, რომ „ტანიას ზედმეტი პაიკი აქვს". ვინოკუროვმა კმაყოფილმა დასტოვა კლუბი და როდესაც აქ რამდენიმე საათის შემდეგ შემოიარა მეუღლის გასაცილებლად, გაოცებით შეიტყო — პარტია ყაიმით დამთავრდა. ზატულოვსკაიამ რა არ იღონა, მაგრამ ვერ შეძლო მეტოქის „ციხე-სიმაგრეში" შეჭრა. ეს ყაიმი ბევრ გამარჯვებას უდრიდა.

რა კარგია, რომ მაიამ თავისი ძალები ადრევე ირწმუნა და ავტორიტეტებს არ უფრთხის! „დინამოს" პირადგუნდურ ჩემპიონატში იგი ოსტატობის კანდიდატი გახდა, ამ საპატიო წოდების ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი საბჭოთა კავშირში, და ალბათ, მსოფლიოშიც. თებერვალ-მარტში ერთბაშად ორ თასს დაეუფლა: თბილისისა და საქართველოს თასებს. ეს ძნელად დასაჯერებელი რამ იყო, მაგრამ მალე მაიამ მეორე-მესამე ადგილები გაიყო თბილისის ჩემპიონატში და საერთაშორისო ტურნირის საგზური მოიპოვა. ახლა მას მსოფლიოში განთქმულ ოსტატებთან უნდა ეთამაშა.

ჩიბურდანიძე ძნელი ამოცანის წინაშე დადგა: თბილისში „დინამოს" საკავშირო პირადი პირველობა იწყებოდა, რომლის დამთავრების შემდეგ უკვე საერთაშორისო ტურნირი იწყებოდა. მაიამ წლეულს უკვე ბევრი ითამაშა, მწვრთნელებს გადაღლისა შეეშინდათ და მას ურჩიეს ერთ-ერთ ტურნირზე ხელი აეღო. მაგრამ რომელზე? გოგონა ვერც ერთს თმობდა. თუ იგი „დინამოს" პირველობაზე კარგად ითამაშებდა, საკავშირო პირველობის ნახევარფინალში თამაშის უფლებას იღებდა, საერთაშორისო ტურნირის გამოტოვება კი არაფრით არ სურდა. აქ ხომ, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ნონასა და ნანას უნდა შეხვედროდა! და 12 წლის ოსტატობის კანდიდატმა თამამი გადაწყვეტილება მიიღო: ერთგანაც ეთამაშა და მეორეგანაც! საბოლოოდ ორივე მიზანი განხორციელდა. მაია საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალშიც გავიდა და მსოფლიოს უძლიერეს ოსტატებსაც შეხვდა.

საჭადრაკო ჟურნალებს ძალიან უყვართ მაიას პარტიების ბეჭდვა (საინტერესოა, რომელი ლიტერატურული ჟურნალი უთმობს თავის ფურცლებს 12 წლის პოეტს!); მათი რედაქტორები მიიჩნევენ, რომ „მომავალი ვარსკვლავის" თამაში ყველას აინტერესებს. ასეთი პარტიები მაიას ბევრი ჰქონდა თბილისის საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ მაინც გვინდა ორის გამოყოფა. პირველი მინიატურათა კატეგორიას მიეკუთვნება. ვერც კი მოასწრო ცნობილმა საერთაშორისო ოსტატმა ოლღა ანდრეევამ თამაშის ხეირიანად დაწყებაც კი, მისმა ნორჩმა მეტოქემ ბრწყინვალე კომბინაციური დარტყმით იგი „ბეჭებზე დასცა". საბჭოთა კავშირის ახლანდელი ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი მარტა შული შუა თამაშში პირდაპირ ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა — ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე დაბარებულებივით იყრიდნენ თავს მაიას ფიგურები — ხსნა არსაიდან იყო.

კიდევ შეიძლება რამდენიმე სამახსოვრო პარტიის დასახელება. ჯერ ერთი, მაიასთან „ანგარიში გაათანაბრა" მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელიც მასთან დეკემბერში ერთდროული თამაშის სეანსში დამარცხდა, ნანა ალექსანდრიას მაიასთან წასაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ იგი მისმა ცნობილმა ტაქტიკურმა ოსტატობამ იხსნა.

ერთი სიტყვით, საერთაშორისო ტურნირს მაიას სახით უდავოდ ღირსეული, საინტერესო მონაწილე ჰყავდა.

წლევანდელი ოდისეა ამით არ დამთავრებულა. საკავშირო ჩემპიონატები მსოფლიოში უძლიერეს შეჯიბრებებად ითვლება. მათი მონაწილეების შერჩევა უდიდესი სერიოზულობით მიმდინარეობს. ბელცის ნახევარფინალში 13 მონაწილე იყო, ფინალში კი სულ ორი გადიოდა. მაიას, წლევანდელი წარმატებების მიუხედავად, მაინც არ მიიჩნევდნენ ფინალში გასვლის პრეტენდენტად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტურნირში თამაშობდნენ საერთაშორისო ოსტატები — რანიკუ, ბორისენკო, ანდრეევა, ოსტატები — ლიუბარსკაია და მოსიონჟიკი. შედეგი პირდაპირ სენსაციური იყო. მაიამ 12 თამაშიდან 8,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყო და ფინალის საგზური მოიპოვა. ეს უმაგალითო შემთხვევა გახლავთ საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.

გულშემატკივრები შეეჩვიენ, რომ საქართველოში სისტემატურად დაწინაურდებიან ხოლმე საჭადრაკო ტალანტები. მათ შორის, მაიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მართლაცდა, ვინ ებრძოდა ასეთ ასაკში ესოდენი წარმატებით „ჭადრაკის დედოფლებს"!

# მოზაიკა



## იაფი ქორწილი

იაპონიაში ხელის მოწერის ცერემონიალი და საქორწინო ლხინი ძალიან ძვირი ჯდება, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ წრეებში; ყველა ახალდაქორწინებულს როდი აქვს საშუალება გაიღოს ასეთი დიდი თანხა. ამიტომაც არის, რომ იაპონიაში, უკანასკნელ ხანებში, ქორწინების გაფორმებას საზღვარგარეთ ამჯობინებენ. მექორწინეებისათვის შემოღებულია სპეციალური საჰაერო რეისები. საავიაციო კომპანია აგროვებს სტუდენტებს, ახალგაზრდა ინჟინრებს, ჟურნალისტებს, დამწყებ ბიზნესმენებს და ისინი, თავიანთ საპატარძლოებთან ერთად, საფრანგეთში, ტურის მახლობლად, შუასაუკუნეების ციხე-კოშკ იუსეში ჩაჰყავთ. აქ ფორმდება მათი ქორწინება, რის შემდეგ ახალგაზრდები მიჰყავთ ტურში, სადაც ისინი ძველი სასახლის აპარტამენტში ატარებენ საქორწინო ღამეს. მომდევნო დღეები ეთმობა ექსკურსიებს, სხვადასხვა ღირსშესანიშნაობის დათვალიერებას; ახალდაქორწინებულები კმაყოფილნი მიემგზავრებიან შინ. და ყოველივე ეს გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე იაპონური ტრადიციული ქორწილი.

## ჰალსტუხი და სტატისტიკა

ჩეხოსლოვაკიაში არსებობს მოდების ინსტიტუტი, რომელიც არა მარტო სწავლობს კოსტუმების ისტორიას, არამედ ცდილობს კიდევაც ხელი შეუწყოს ჩაცმა-დახურვის სფეროში ახალი ესთეტიკური ნორმების დადგენასა და შემოღებას. აქ კოსტუმს განიხილავენ, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს. საერთოდ კოსტუმის ისტორიის საწყის ეტაპად ევროპაში მიჩნეულია რენესანსის ხანა, XIV საუკუნე, როცა ვენეციელმა ჩეზარე ვაჩელიომ პირველად სცადა აეწერა და სისტემაში მოეყვანა აქა-იქ გაფანტული ცნობები ადამიანთა ჩაცმა-დახურვის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის მოდების ინსტიტუტმა ამას წინათ მოაწყო ანკეტური გამოკითხვა მამაკაცთა შორის იმის თაობაზე, თუ რა აზრისა არიან ისინი ჰალსტუხზე. შედეგი სრულიად მოულოდნელი . იყო. გამოკითხულთა 85 პროცენტმა გადაჭრით განაცხადა, რომ ჰალსტუხი მამაკაცთა გარდერობის აბსოლუტურად ზედმეტ და არასაჭირო ნაწილს წარმოადგენსო.





## კოლო — სიმამაცის სიმბოლო

სიერა ლეონე პატარა სახელმწიფოა აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე (2,5 მილიონი სული). ადრე ის ინგლისის კოლონია იყო, 1961 წლიდან დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. ამ სახელმწიფოში დაწესებულია სპეციალური მედალი „სამხედრო და სამოქალაქო მამაცობისათვის". მედალზე გამოსახულია კოლო ანოფელესი. კოლო ანოფელესმა ასეთი პატივისცემა დაიმსახურა თავისი განსაკუთრებული „საბრძოლო თვისებისათვის": მალარიის გამავრცელებელი ეს პატარა მწერი, — როგორც სიერა ლეონეში თვლიან — სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ევროპელი კოლონიზატორების შემოჭრას ამ ქვეყანაში.

და მართლაც, სიერა ლეონეში გავრცელებულ მალარიას ევროპაში ოდესღაც „თეთრი ადამიანის სასაფლაოს" ეძახდნენ.

## განაწყენებული მემკვიდრე

ბენიტო მუსოლინის შვილმა რომანომ, რომელიც პროფესიით ჯაზორკესტრის მუსიკოსია, პარიზის სასამართლოში საჩივარი აღძრა ჟურნალ „პარი-მატჩის" წინააღმდეგ. რომანომ 100 ათასი ფრანკი მოითხოვა იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მას მიაყენა ჟურნალში გამოქვეყნებულმა ცნობამ იმის თაობაზე, რომ რომის პაპის პიუს XI-ს მკვლელობა მოწყობილი იყო ბენიტო მუსოლინის მიერ. სასამართლომ უარყო რომანოს მოთხოვნა. მართლმსაჯულებამ თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ ჟურნალის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში მოხსენებული არ იყო რომანოს სახელი და, ამდენად, ჟურნალს არავითარი ზარალის მიყენება არ შეეძლო მომჩივნისათვის.



## ჭადრაკის მოძულე მინისტრი

ჭადრაკის თამაშის პოპულარობაზე, მისდამი სიყვარულზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. მაგრამ ამ შესანიშნავ თამაშს, წარმოიდგინეთ, თურმე მოძულეებიც ჰყოლია. საუდის არაბეთის კულტურის მინისტრმა ამას წინათ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც სასტიკად აიკრძალა ჭადრაკის თამაში. უკეთებს რა კომენტარს ამ ცნობას, ლონდონის „დეილი ტელეგრაფი" განმარტავს: როგორც ცნობილია, ჭადრაკში სრულიად ჩვეულებრივი პაიკები გამუდმებით უტევენ მეფეს, ამიტომ ჭადრაკი, კულტურის მინისტრის აზრით, „დივერსანტთა თამაშად" უნდა ჩაითვალოს.



მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

გარეკანის პირველ გვერდზე: ახალგაზრდა მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძე. ფოტო თ. არჩვაძისა.

საქ. კპ ცკ გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/VIII-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VIII-73 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 3,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 55.300. შეკვ. № 2648. უე 01946.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგოდეხის გზაზე.

ფოტო თ. არჩვაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თბილისის ახალი ავტოსადგური.

ფოტოები თ. არჩვაძისა.






კინოთეატრი „თბილისი" ბათუმში.

ფოტო მ. დათიკაშვილისა.

ИНДЕКС 76056